საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№141 (9972) 2025 წლის 20 ოქტომბერი, ორშაბათი

შენც, ბრუტუს?!

იხ. 2 გვ.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თუ კავშირი რადიკალებთან?!

საქართველოს ღალატი



6

ზაზა ალექსიძე – ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების სიამაყე

უპარტიოდ დარჩენის შემთხვევაში წითლიძეები „პარტიზანული ომით“ იმუქრებიან!

იხ. 3 გვ.



ისტერიული ყაყანი დაიწყო!..

იხ. 4-5 გვ.

განათლების ახალი რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ელჩი პეტერ ფიშერი გერმანიამ კონსულტაციებისთვის გაიწვია!!!

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გაიწვიეს საქართველოში გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი კონსულტაციებისთვის, რათა განისაზღვროს, როგორ უნდა გაგრძელდეს მუშაობა.

როგორც გერმანიის საგარეო უწყებაში აცხადებენ, საგარეო საქმეთა მინისტრმა იოჰან ვადეფულმა მიიღო გადაწყვეტილება, გაიწვიოს ელჩი ფიშერი კონსულტაციებისთვის.

დავით გურგენიძე:

7

წინა ხელისუფლების დროს ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების დიდი ნაწილი მიიტაცა ყოფილი პრეზიდენტის ოჯახმა!

ვახო სანაია დააკავეს

რეუმის პოლიციამ „ფორმულას“ ჟურნალისტი ვახო სანაია დააკავა. მას, სავარაუდოდ, ახალი რეპრესიული კანონებით, აქციაში მონაწილეობას ედავებიან! იგი, სავარაუდოდ, გზის გადაკეტვის მიზეზით დააკავეს. „ფორმულა“ მის დაკავებას განიხილავს, როგორც ჟურნალისტის და მთლიანად დამოუკიდებელი მედიის შევიწროებას რეუმის მხრიდან.

ტელეკომპანია „ფორმულა“ მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს ღალატი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თუ კავშირი რადიკალებთან?!

შეარყევს თუ არა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის გრიგოლ ლილუაშვილისა და ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკები „ქართული ოცნების“ მმართველობას? რა პოლიტიკური ფასი ექნება კორუფციასთან ბრძოლის იმ პრინციპულ ნაბიჯებს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე დგამს და ხომ არ გააჩენს ეს ნაბიჯი კითხვებს მმართველი გუნდის მხარდამჭერებში? საქმე მხოლოდ კორუფციას ეხება, თუ გამოძიების ფარგლებში, დგინდება კავშირი 4 ოქტომბრის გადატრიალების მცდელობასთან, რაზეც პრემიერიცა და ოპოზიციის ლიდერებიც ირიბად საუბრობდნენ?

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად, მასშტაბური ღონისძიება განახორციელა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის ყოფილი მაღალჩინოსნების საცხოვრებელი სახლები და პირადი ნივთები გაჩხრიკეს. როგორც გენერალურმა პროკურორმა **გიორგი გვარაკიძემ** ბრიფინგზე განაცხადა, საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა **ირაკლი ღარიბაშვილის, გრიგოლ ლილუაშვილის, ოთარ ფარცხალაძისა და მათთან დაკავშირებული, სულ რვა პირის საცხოვრებელ გინებსა და სახლებში.**

ჩხრეკის შედეგად ამოღებულია სხვადასხვა ელექტრომოწყობილობა, დოკუმენტაცია და დიდი ოდენობით ფულადი თანხა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ამ ეტაპზე არცერთი პირი, მათ შორის, არც ყოფილი პრემიერი არ არის დაკავებული ან გამოკითხვაზე. სამართლებრივი შეფასებები, სუს-ის ცნობით, ამოღებული ნივთებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ეს ნაბიჯი ცხადჰყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ კი პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, მზადაა, გადადგას მტკივნეული, მაგრამ პრინციპული ნაბიჯები კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, თუნდაც საქმე მმართველი გუნდის ყოფილ მაღალჩინოსნებს ეხებოდეს. პრემიერი კობახიძე, რომელიც ამ საკითხზე ღიად საუბრობდა და კორუფციის წინააღმდეგ კანონმდებლობაც გაამკაცრა, მიუთითებს:

„დავანებოთ თავი სახელებსა და გვარებს, ჩვენ ვართ კონცენტრირებული დღევანდელ დღეზე და კონცენტრირებულები ვართ იმაზე, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დღეს ჰყავს ძალიან ძლიერი ხელმძღვანელი, რომლის პირობებშიც, უსაფრთხოების სამსახური მიაღწევს სრულიად ახალ სიმაღლეებს... მე არ ვსაუბრობ წარსულზე, ვსაუბრობ დღევანდელ დღეზე, კონცენტრირებულები ვართ უსაფრთხოების სამსახურის კიდევ უფრო გაძლიერებაზე“, – განაცხადა პრემიერმა პროკურატურის ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე.

ამასთან, მმართველი გუნდის რეგიონული მდივანი **დიმიტრი სამხარაძე** ხაზს უსვამს მიძინა ივანიშვილის ფაქტორს და აცხადებს, რომ ნებისმიერი არასწორი ნაბიჯი **„ერისკაცისა და საქართველოს ღალატია“.**

პოლიტიკური ანალიტიკოსების აზრით, ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის ნაწილს, შესაძლოა, გარკვეული სენტიმენტები ჰქონდეს ყოფილი პრემიერის მიმართ, პარტიის მხარდაჭერას არსებით ზიანს არ მიაყენებს, თუკი ხელისუფლება შეძლებს მყარი და დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენას. სავარაუდოდ, სწორედ მტკიცებულებების შეგროვებით არის განპირობებული საგამოძიებო ორგანოების სიფრთხილე და ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე არავინაა დაკავებული. პრემიერ კობახიძის მიერ, რადიკალურ ოპოზიციასთან გუნდის ყოფილი წევრის თანამშრომლობაზე მინიშნება ამძაფრებს ეჭვებს, რომ გამოძიება, შესაძლოა, კორუფციულ გარიგებებსა და რევოლუციურ პროცესებში ჩართულობასაც მოიცავდეს, რაზეც არაერთხელ ითქვა მედიასა და პოლიტიკურ წრეებში. რა იქნება ამ პრინციპული ნაბიჯის პოლიტიკური ფასი? ხომ არ გამოიწვევს ეს „ოცნების“ ელექტორატში უარყოფით რეაქციას? ამ კითხვებზე პასუხების მიღებას for.ge ანალიტიკოსებისგან შეეცადა.

* * *

ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე,** რომელსაც წარსულში მიძინა ივანიშვილთან მუშაობა მოუწია და ასევე, ირაკლი ღარიბაშვილსაც პირადად იცნობს, for.ge-სთან ამბობს, რომ ღარიბაშვილისა და ლილუაშვილის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, აუცილებელი იქნება ხელისუფლების მხრიდან მყარი და ძლიერი მტკიცებულებები. ასევე, ის დასძენს, რომ წარსულში პოლიტიკური თანამდებობა, დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, ინდულგენცია ვერ იქნება.

„ვითარება ნამდვილად რთულია და ჩვენ მიძინა ივანიშვილის მართლა მადლობლები უნდა ვიყოთ, რადგან მისი დამსახურებაა, რომ თავი ავარიდეთ ომში ჩართვის პერსპექტივას. ეს იქნებოდა მოხალისეების მობილიზება, სახელმწიფოს მიერ ორგანიზება, თუ ეს იქნებოდა ჩართვა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში და ოკუპირებულ რეგიონებში შესვლა, ეს ნამდვილად თავიდან აგვარიდა. ეს უდავოდ დიდი საქმეა. ახლა არანაკლებ რთულ პერიოდს გადის ქვეყანა, რადგან თავისთავად ცხადია, რომ თუნდაც მცირერიცხოვანი ადამიანების მიტინგი სერიოზულ პრობლემებს ქმნის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ველზე.

ამიტომ ამ ყველაფრის გათვალისწინებაა საჭირო, როდესაც ხვალინდელი დღის განვითარების ვექტორს ირჩევ. რა თქმა უნდა, აქ სხვა აზრი არ შეიძლება არსებობდეს – ყველა სახის დანაშაული, თუ ეს წარსულში, თუნდაც ყოფილი მაღალჩინოსნებისგან იქნა ჩადენილი, უნდა გამოიკვეთოს. მით უმეტეს, პოლიტიკური თანამდებობა ვიღაცის დანაშაულის ინდულგენცია ვერ იქნება. კანონდამრღვევი ან დამრღვევები უნდა დაისაჯონ“, – ამბობს **ბერიძე.**

მისივე თქმით, თუკი სახელმწიფო, თუნდაც თავისავე მაღალჩინოსნებს არ აგებინებს პასუხს ჩადენილ დანაშაულზე, ის სახელმწიფო კი არა, ფიქციაა.

„მე, პირადად, ღარიბაშვილსაც პატივს ვცემ და ლილუაშვილსაც. ღარიბაშვილს, ივანიშვილის მრჩევლობის პერიოდიდან ვიცნობ, რამდენიმე თვის განმავლობაში, ერთად ვმუშაობდით. მასზე ძალიან კარგი და დადებითი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ ჩემი მასზე წარმოდგენა, თუკი არსებობს რამე სამართლებრივი კითხვები, ვერაფერს შეცვლის. აქ მთავარია პირუთვნელი და მიუკერძოებელი გამოძიება, სამართლიანი სასამართლოს გარანტირება და უზრუნველყოფა. მე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, მოველი უტყუარ და მყარ მტკიცებულებებს“, – ამბობს **ბერიძე.**

მისივე აზრით, ღარიბაშვილისა და ლილუაშვილის მიმართ, გამოძიების მიერ დასმული კითხვები და ეჭვები არ დააზიანებს „ოცნების“ რეიტინგს და არც მის მხარდამჭერებში არ გააჩენს უკმაყოფილებას. ამიტომ ის არ ელის, რომ ამის გამო, ქვეყნის შიგნით, მმართველი გუნდის რეპუტაცია დაზიანდება.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი **for.ge**-სთან ამბობს, გარდა იმისა, რომ ამ ადამიანების სახლებში ჩხრეკა ჩატარდა, სხვა დეტალები ჯერ არ ვიცით. ამიტომ ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ არ ვიცით, რა ეჭვები იყო და რომელი დასაბუთდა. თუ შესაძლოა, რამე მოსაზრება გაჩნდეს, ეს არის კორუფციის თემა, რადგან ასევე გავიგეთ, რომ ანტიკორუფციული სამსახური იძიებს.

„ალბათ, კორუფციის ეჭვი უფრო იკვეთება, დაძრულია და ჩანს კიდეც, რომ კორუფციის ხაზით არის ძიება დაწყებული. უბრალოდ, კითხვა ჩნდება – რატომ ახლა? კორუფცია არ არის ისეთი დანაშაული, რომელსაც ადამიანი ერთ კონკრეტულ დღეს ჩაიდენს და მერე არა. კორუფცია ხანგრძლივი პროცესია ხოლმე. მით უმეტეს, რაღაც ანალოგიური ეჭვებით ღარიბაშვილის გათავისუფლება მოხდა, თუმცა მაშინ უფრო მის ახლობლებზე იყო ეჭვი. არის ერთი პრობლემა, კერძოდ, კორუფცია ის კარია, რომლითაც შედის ხოლმე ამა თუ იმ სახელისუფლებო სტრუქტურაში მათი დანგრევის მოსურნეები. კორუფციით კომპრომატი ძალიან ადვილია, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, კორუფციით და ფულით ადამიანს რაღაცები აკეთებინო“, – ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე თქმით, დროში ძალიან ემთხვევა ამ მოვლენების განვითარება 4 ოქტომბრის გადატრიალების სცენარს, ასევე, იმ ირიბ მინიშნებებს, რაზეც ოპოზიციაც და ხელისუფლებაც საუბრობდა.

„4 ოქტომბრის, აი, ამ გადატრიალების მცდელობის შემდეგ პროცესებში აღმოჩნდა ეს ერთ-ერთი რგოლი. გაჩნდა ეჭვი, რომ კორუფციამ ხომ არ აცდუნა ეს ადამიანები საიმისოდ, რომ დიდი რაღაცის თანამონაწილეები გამხდარიყვნენ. ამის ცდუნება ყოველთვის არის, როცა კორუფციის სენი გავრცელდება ხოლმე. ამიტომ ამ პოლიტიკურ პროცესთან, რასაც გადატრიალების გარშემო წარმოებული გამოძიება ჰქვია, მე მგონი, ამასთანაც არის კავშირში.

რაც შეეხება იმას, „ოცნებისთვის“ არის თუ არა ეს სარისკო ნაბიჯი, მე ვერ ვხედავ ამ რისკს. მარტო ამ სამ მაღალჩინოსანზე არაა საუბარი. რამდენიმე ადამიანია დაკავებული და როგორც ჩანს, არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რის გამოც ეს გადაწყვეტილება მიიღეს. მხარდამჭერებში იქონიებს თუ არა ეს გავლენას, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი კითხვაა. ღარიბაშვილს ჰყავს მხარდამჭერები და მის მიმართ ემოციური დამოკიდებულება საზოგადოებაში ნამდვილად არის. შესაძლოა, არც არაფერი მოხდეს და იქნებ, ეჭვის გამო მოხდა მხოლოდ ჩხრეკა. ის ჯერ დაკავებული არ არის. თუ დაკავებენ, მაშინ მეტი ინფორმირებაა საჭირო, რა მოხდა რეალურად. თუმცა, ეს გუნდი ღარიბაშვილით არ იწყება, გუნდი ივანიშვილით იწყება. ამიტომ ის რომ გუნდს ჩამოსცილდეს, დასანანი იქნება, თუმცა არა დამღუპველი“, – ამბობს **საყვარელიძე.**

ლიკა ბერიკაშვილი

ყოფილი მაღალჩინოსნების სახლების ჩხრეკა

მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიჩხრიკა 24 ბინა და საცხოვრებელი სახლი. ასევე ჩატარდა პირადი ჩხრეკები. ღონისძიება ჩატარდა როგორც თბილისში, ასევე დედოფლისწყაროს, ვანის, ჩოხატაურისა და ბორჯომის რაიონებში. გაიჩხრიკა მოქალაქეების ირაკლი ღარიბაშვილის, გრიგოლ ლილუაშვილის, ოთარ ფარცხალაძის, რომეო მიქაუტაძის, მიხეილ ჩოხელის, ვანო და თორნიკე პარკაულების, ანდრია (იგივე სანდრო) ლილუაშვილის და მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 230-მდე თანამშრომელი.

შედეგად, სხვადასხვა ადგილიდან ამოღებულია ნაღდი ფული, საერთო ჯამში 7 002 200 აშშ დოლარისა და 136 000 ლარის ოდენობით, 198 ერთეული ძვირფასი ნაკეთობა და საათი, ძვირადღირებული ნახატები, დოკუმენტაცია რამდენიმე ათას ფურცლად, 50 ერთეული მობილური ტელეფონი და 119 ერთეული ელექტრომოწყობილობა.



ჩვენ რომ მაღვალაკი, მჩხიბავი, მთხზველი ოპოზიცია გვყავს, უარესს ვერ იტყვი. ორ უახლეს მაგალითს შეგახსენებთ.

2024 წლის პარლამენტის არჩევნები ოპოზიციამ წააგო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს წაგება პირობითი იყო: 150-კაციან პარლამენტში 61 მანდატი მოიპოვა. ოპოზიციისთვის მეტი შედეგი რა გინდა! მაგრამ – არა! არჩევნებიდან მეხუთე დღეს შედეგების გასაყალბებლად მოიშიქრეს აბსურდული „ბიულეტენის გაქონვის“ ვერსია, ეს აშკარად არარა „ფაქტი“ შესაშური ერთსულოვნებით აიტაცეს, ამრავლეს იქამდე, რომ არჩევნები გაყალბებულად, ხელისუფლება კი არალეგიტიმურად გამოაცხადეს და დიდი საპროტესტო აქციები ააგორეს, მსოფლიოს ყურები დააცქვეტინეს.

უპარტიოდ დარჩენის შემთხვევაში წითლიძეები „პარტიზანული ომით“ იმუქრებიან!

ახლა კი 4 ოქტომბრის დამარცხებიდან მეშვიდე დღეს პრეზიდენტის სასახლის რკინის ღობის წინასწარ დაქლიბვის ვერსია ააფრიალეს, სასახლის შტურმში „მიტყუებული“ მოიერიშეების გრალის ლამის მთლიანად გასანეიტრალებლად და „მზაკვარი“, „მახის დამგები“ ხელისუფლების გასაშავებლად.

ეს ვერსია აქტიურად მუშაობს, უკვე მისწვდა ევროპა-ამერიკას. საქმე იქამდეც კია მისული, რომ მოხალისე ადვოკატები უკვე აშალაშინებენ ვარიანტს გულუბრყვილო, მომავლობი მოიერიშეების ხელისუფლების მიერ წაქეზებამიტყუებაზე დანაშაულის ჩასადენად.. „ტვ პირველმა“ ეს თემა ძალზე ეშმაკურად მოწვეულა: ჯერ „პრეზიდენტის სასახლეზე შეტევის საქმე“ ან „პრეზიდენტის სასახლეზე თავდასხმის საქმე“, მერე თანდათან შეამოკლეს და გაიიოლეს – „სასახლის ღობის საქმე“, ბოლოს კი სულაც მოკლედ და გასაგებად – „ღობის საქმე“. ამ სიმოკლეში აშკარად იკვეთება მდაგალი ცინიზმი და სიძულვილი...



რკინის ღობე-ჭიშკარი უკვე მეორედ მოექცა რევოლუციის ეპიცენტრში. ყველას გვახსოვს რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ცნობილი კადრი ფოტოთი და კინოკადრით: პეტროგრადში (მაშინ ასე ერქვა პეტერბურგს) ზამთრის სასახლის აღება ბოლშევიკების მიერ-უზარმაზარ რკინის ჭიშკარს მთელ სიგრძე-სიგანეზე რევოლუციონერი პარისკაცები შესევიან... ეს ფოტოკადრი მართლაც საქვეყნოდ არის ცნობილი. ოღონდ, მთელი ეს ამაღელვებელი ეპიზოდი ოქტომბრის რევოლუციის ბოგოქარი ისტორიისა... არ მომხდარა, ფიქციაა. ზამთრის სასახლე, რომელსაც მხოლოდ ქალთა ბატალიონი იცავდა, ყოვლად პროზაულად აიღეს: დამცველებმა თოფის გაუსროლელად გახსნეს კარი. სასახლის „აღების“ დიდებული სცენა მოგვიანებით შექმნა დიდმა საბჭოთა კინორეჟისორმა სერგეი ეიზენშტეინმა, როცა კინოფილმი „ოქტომბერი“ გადაიღო...

მოკლედ, ერთი საუკუნის მანძილზე ორჯერ მოხვდა რკინის ღობე რევოლუციაში და ორჯერვე არაფერ შუაში იყო. პეტროგრადისა უკვე ვთქვით, თბილისში კი უბრალოდ მიაწვნენ და წააქციეს. სულ ეს გახლავთ „ღობის როლი“.

დიახაც, 4 ოქტომბრის რევოლუციის, უფრო სწორად, სახელმწიფოს დამხობის ჩაშლის საქმეში ღობე მხოლოდ ნაკლებმნიშვნელოვანი ბუტაფორია იყო. მივარდნილმა ტალღამ გაავვებული ადამიანებისა უმალ წააქცია.

„ღობის საქმე“ ის კი არ არის, რომ თურმე ხელისუფლებამ რევოლუციას ხაფანგი დაუგო, ღობე დახერხა იოლად წასაქცევად და დანაშაული ჩაადენინა ამბოხებულებს, არამედ ის, რომ გამოძიება ორგანიზატორებს ედავება ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და ხელმძღვანელობას, სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ხელში ჩაგდების მცდელობას, კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებას. აი, ეს გახლავთ ნამდვილი „ღობის საქმე“. და აქვე: ხელისგულზე დევს ის, რომ 4 ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ცდა უცხოეთიდან იყო დაგეგმილი და ორგანიზებული.

რევოლუცია ჩაიშალა და ამაში დამსახურება უდავოდ ეკუთვნის ხელისუფლებას, რომელმაც დინჯად, ზედმეტი ფაფხურის, გნიასის, ციებ-ცხელების გარეშე მოახერხა ეს. თანაც აქციაზე მოვიდა არა დაბეჯითებით გამოცხადებული 300 ათასი (?) კაცი, არამედ სულ რაღაც 10-15 ათასი, თუ სულაც 7 ათასი არა! აქციაზე მოსულებმა, გარდა იმისა, რომ ხელისუფლება უნდა დაემხოთ, არაფერი იცოდნენ: არც რაიმე საერთო გეგმა, არც რაიმე კონკრეტული სამოქმედო მიზანდასახულება (თუმცა, როგორც ირკვევა, ასეთი რამ არც თავად ამბოხის მოთავე-ორგანიზატორებს ჰქონიათ)...

მართალია, სურვილებში ზღვარდაუდებელმა ოპოზიციამ მთელ მსოფლიოს მოსდო, რომ საქართველოში მედია დღეს უმძიმეს ყოფაშია, დიქტატურის არტახებში სულს ღაფავს, მაგრამ ქართული მედიის შემხედვარე რწმუნდები, რომ ის მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ პირობებში იღვწის. არა მგონია, ხელისუფლების ასეთი გინძური გინება, მის მიმართ ცინიზმი, ზიზღი, სიძულვილი სხვაგან კიდევ სადმე იყოს. ბოროტად განაქიქებენ მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ განზრახვას, ოპოზიციაში უიშვიათესად ისმის თვითკრიტიკა, პირუთვნელი გააზრება მომხდარისა.

და ამ დროს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ნაცმოძრაობის აწ უკვე ყოფილი წევრის, ახალგაზრდა კაცის ნიკა ობოლაძის სატელევიზიო აღიარება. მას ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების შედეგების გაყალბებულად გამოცხადებამ და „მშვიდობიანმა რევოლუციამ“ თვალი აუხილა, „ტვ პირველის“ ეკრანიდან მტკიცედ განაცხადა, რომ შარშანდელ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიცია დამარცხდა, არამცდაარამც არ შეიძლებოდა მისი გამარჯვებულად და „ოცნების“ დამარცხებულად წარმოჩენა, რადგან არჩევნები არ გაყალბებულა, საჭიროა მოვლენების საღად შეფასება, სხვაგვარად ყოველთვის დავმარცხდებითო.

სამწუხაროდ, ასეთი განსჯა იშვიათია. ის კი არა, დღესაც გრძელდება ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობის ორგანიზება, ტელეეკრანზე ცეცხლი გიზგიზებს.

მაინც რა მოხდა 4 ოქტომბერს, რატომ ჩაფლავდა თითქოს გასამარჯვებლად გახაზირებული რევოლუცია? დავიწყოთ იმით, თუ ვინ ხელმძღვანელობდა მას. ბოლო მომენტამდე „მშვიდობიანი დამამხობლები“ მხოლოდ პაატა ბურჭულაძეს (?!) იცნობდნენ (თუმცა, კი არ იცნობდნენ, უმრავლესობას მხოლოდ გაეგონა). სხვა „ლიდერებს“ განსაკუთრებით პაატა მანჯგალაძეს და ლაშა ბერიძეს, სიზმრადაც კი ვერ წარმოიდგენდნენ. საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია თამარ ჩერგოლეიშვილის პოსტმა, სადაც ეს ეგზალტირებული ქალბატონი დარწმუნებით აცხადებს, რომ რევოლუციონერები სათათბიროდ იკრიბებოდნენ გაჩო ახალაიას სახლში.

ფათერაკიანი გაჩოს სახელი, უფრო სწორად მისი ცოლის სახელი, პირველად უკრაინიდან მოსაკითხად გამოგზავნილი ერთი თავი ჰექსოდენის (ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერების) აღმოჩენისას გაკრთა. მეორედ – ორი შეთქმული კაცის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გახმიანებისას, სადაც ისინი (ორი ახლობელი კაცი) მომავალი რევოლუციის სამხედრო მომზადებას და ხელმძღვანელობის ავ-კარგს განიხილავენ. სანამ ეს ჩანაწერი არ გაიშიფრება და დასკვნა არ დაიდება, ძნელია თქმა, მართლა ახალაიასა და ბურჭულაძის ნაუბარია თუ არა ეს. მაგრამ დაკითხვაზე მიმავალი გაჩოს გულამოსკვნილი მოთქმა, ვწუხვარ, ძალიან, ძაალიან, ძაალიან, უსაშველოდ, ორი აგურის თავში ცემით ვწუხვარ, რომ არავითარი, ფრჩხილის ოდენი შეხებაც კი არ მაქვს ისეთ ეროვნულ, სახალხო, სამართლიან საქმესთან, როგორიც ხელისუფლების მშვიდობიანი დამხობის ცდა იყოო, საპირისპიროს გვაფიქრებინებს, რომ ამ კაცს ხელები მთლად სუფთა არ უნდა ჰქონდეს. გაჩო ახალაიას ინკოგნიტო ლიდერობის ამბავი, იმედია, მალე გაირკვევა, მაგრამ ის, რომ პოლიტიკაში შემთხვევითი, ყოვლად შეუსაბამო და წარმოუდგენელი კაცი პაატა ბურჭულაძე ლიდერი კი არა, მხოლოდ ქაღალდზე დახატული ტრაფარეტი იყო, ეჭვს არ იწვევს; არც ის, რომ მას უკან ედგნენ ნამდვილი ქორები, რომლებიც ჯერჯერობით კარგად ინიღბებიან.

ისე, ერთ „ბუას“ სავარაუდოდ ასახელებენ, რა თქმა უნდა, პრივატულ საუბრებში მითქმა-მოთქმით. რევოლუციას, რომელსაც ხელისუფლება უნდა დაემხო, ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა...სუს-ის ყოფილი უფროსი გრიგოლ ლილუაშვილიო (?!). ვითომ ასეთი სამხედრო საქმეში ჩახედული, მეტისმეტად მცოდნე კაცის მიერ მომზადებული და ნასარდლევ აქციას უთუოდ უნდა გაემარჯვა, მზაკვარ ხელისუფლებას პრეზიდენტის სასახლის რკინის ღობის გადახერხვა რომ არ მოეფიქრებინაო. ახლა მთელი ეს ნარევოლუციონალი მასა ლილუაშვილის დაჭერას ელოდება სულგანაბული. ვაითუ, კიდევ ერთხელ ახდეს ქართული ანდაზა „ციხე შიგნიდან ტყდებაო“...

„რევოლუცია“ დამთავრდა და ახლა, როგორც წესი, ანუ, როგორც თავისთავად მოჰყვება ხოლმე რევოლუციას, „რეაქცია“ დაიწყო. ხელისუფლება ამკაცრებს კანონებს, ყურის აწევით ემუქრება იმ პარტიებს, რომლებსაც არსებითი წვლილი მიუძღვით მთელ ამ ბაკქანალიაში. როგორც ჩანს, განსაკუთრებით ნაცმოძრაობას არ დაადგება კარგი დღე. და არის ერთი წიოკი. ყოვლად ოდიოზური **ანა წითლიძე** (იგი, სადაც სამართალია, მაშინვე უნდა მიესვათ ლევან ხაბეიშვილისთვის ციხეში), რომელიც რევოლუციის ჟამს, სადღაც საგულდაგულოდ იყო მიჭყუნული და როგორც კი საფრთხემ გაიარა, დღის სინათლეზე გამოვიდა და დღეში რატო 7-ჯერ არ გვიშტიმავს ამოციებულ თვალებს ტელეეკრანიდან, მთელი ნაცმოძრაობის სახელით გვიცხადებს, თუ პარტიას გაგვიუქმებენ, არალეგალურ მდგომარეობაზე გადავალთ და იატაკქვეშეთიდან პარტიზანულად გავუმწარებთ სიცოცხლეს ქოცებსო, მტკვარი გაჩერდება და ჩვენ არაო.

ისე, წითლიძე თავისთავად და ოპოზიციური ტელეეკრანებიდან პროტესტის, გინების, ლანძღვის, სიცრუის ნიაღვარი მოდის. სწორედ რომ სასაცილოა ევროორგანიზაციების ორკესტრირებული ვიშვიში, საქართველოში მედიის საშინელი, გაუგონარი და განუკითხავი დევნა-შევიწროება მიმდინარეობსო. ჩვენი მედიის შემხედვარეს ეს როგორ უნდა ამოგვიდეს პირიდან!

ოპოზიცია არ ისვენებს, ოპოზიცია არ ცხრება, ოპოზიცია ახალი „მშვიდობიანი დამხობისთვის“ ემზადება!..

ალეკო ასლანიშვილი

ბაჩო ახალაიას ინკოგნიტო ლიდერობის ამბავი, იმედია, მალე გაირკვევა, მაგრამ ის, რომ პოლიტიკაში შემთხვევითი, ყოვლად შეუსაბამო და წარმოუდგენელი კაცი პაატა ბურჭულაძე ლიდერი კი არა, მხოლოდ ქაღალდზე დახატული ტრაფარეტი იყო, ეჭვს არ იწვევს; არც ის, რომ მას უკან ედგნენ ნამდვილი ქორები, რომლებიც ჯერჯერობით კარგად ინიღბებიან.

საქართველო ევროკავშირის სასწავლო პროცესის ციკლს ეთიშება?!

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას, განათლების სისტემაში ძირეული რეფორმა განახორციელოს, დარგის ექსპერტთა ნაწილი უარყოფითად აფასებს. კრიტიკოსების მოსაზრებით, მსგავსი რეფორმის გატარება ნიშნავს ევროკავშირის სასწავლო პროცესის ციკლიდან გასვლას, რის საფუძველზეც საქართველო განათლების სივრცეშიც გამოქვაბულში აღმოჩნდება. კრიტიკის საპასუხოდ, განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ 11-წლიან სასწავლო პროცესზე გადასვლა არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის ბოლონიის პროცესთან. მინისტრმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მთავრობის მიზანია, რეფორმა მოერგოს სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესებს.



ისტერიული ყაყანი დაიწყო!..

განათლების ახალი რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები

რას მოიცავს ახალი რეფორმა

სკოლებში სწავლება ისევ 11-წლიანი უნდა გახდეს, უნივერსიტეტები კი 3+1 სისტემაზე გადავლენ, რაც 3-წლიან გაკალავრიატს და 1-წლიან მაგისტრატურას ითვალისწინებს (გარდა მედიცინისა).

თუმცა, წლების წინ, განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, ერთგვარ განმარტებას ვკითხულობთ, თუ რატომ გახდა საჭირო კიდევ ერთი წლის დამატება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და რატომ არის აუცილებელი მე-12 კლასი: **ევროპის უნივერსიტეტებში დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა 12-წლიანი საშუალო სკოლის დამამთავრებელი დოკუმენტი – ამდენად, როგორც წესი, 10-11-წლიანი სკოლის ატესტატი არ მიიღება ევროპის არცერთი ქვეყნის მიერ.** უწყების ცნობითვე, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ჩართვა მოითხოვს უმაღლეს განათლებაში დაშვებისათვის შესაბამისი ხანგრძლივობის სწავლას.

„2005 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომელმაც დაადგინა 12-წლიანი განათლება და ამ სისტემაზე გადასვლის ვადებიც განისაზღვრა. 2008-09 სასწავლო წელს, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები გადავიდნენ 12-წლიან სწავლებაზე. მე-12 კლასის შემოღებით, საქართველოს სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯი უფრო ხარისხიანი, ევროპულ სივრცეში მეტად ინტეგრირებული, ეკონომიკის ზრდაზე, ეროვნული მთლიანოების განმტკიცებაზე ორიენტირებული განათლების სისტემისკენ. საქართველოს სკოლადამთავრებულს უნდა შეეძლოს, კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სკოლადამთავრებულს. საქართველოს სკოლადამთავრებულების სულ უფრო მეტი ნაწილი აგრძელებს განათლებას ევროპის უმაღლესებში. იმის გამო, რომ ევროპული უნივერსიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა მინიმუმ 12-წლიან განათლებას ითხოვს, ქართველ ახალგაზრდებს პრობლემები ექმნებოდათ. მაგალითად, გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად, უმაღლესში, მინიმუმ, ერთი წლის სწავლა იყო საჭიროებული, სკოლის შემდგომ. საქართველოში თორმეტწლიანი სწავლების შემოღებით, ეს მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარებულია და ჩვენს სკოლადამთავრებულებს ეს ხელოვნური გარიერი აღარ ხვდებათ საკუთარი აკადემიური მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად“, – ვკითხულობთ განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

თუმცა, განათლების მინისტრის **გივი მიქანაძის** განცხადებით, ბოლონიის პროცესში არსად წერია, რომ სწავლა აუცილებლად 12-წლიანი უნდა იყოს:

„ევროპის არაერთ ქვეყანაში ხდება გადასვლა სამწლიან საბაკალავრო და ერთწლიან სამაგისტრო სისტემაზე. ამის მთავარი მიზანია, რომ კონკრეტული პროფესიების მიმართულებით, პროფილურად აღვჭურვოთ ძირითადი, ფუნდამენტური ცოდნით და შესაბამისად, მივცეთ საშუალება, რომ ბაზარზე რაც შეიძლება მალე დაიმკვიდროს თავი ადამიანმა და შეუდგეს კარიერულ წინსვლას. 3+1 სისტემა, ეს არის მოდელი, რომელიც საქართველოშიც კი, უკვე რამდენიმე წელია, რამდენიმე მიმართულებაზე არის დანერგილი და ევროპის არაერთი ქვეყანაა, სადაც ეს სისტემა უკვე მოქმედია, აბსოლუტურად არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის ბოლონიის პროცესთან, არის მოქნილი. რაც მთავარია, ორიენტირებულია ისეთ მოცემულობებზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ძირითად, ფუნდამენტურ და აუცილებელი ცოდნის აღჭურვის შესაძლებლობას იძლევა. თვალი რომ გადავავლოთ სხვადასხვა ფაკულტეტზე საგნებს, არის შემოტანილი საგნები, რომელთა გარკვეული საჭიროება და აუცილებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუ დავტოვებთ მხოლოდ იმ ძირითად მოცემულობებს, რომელიც აუცილებელია კონკრეტული პროფესიის და კვალიფიკაციის მისაღებად საუნივერსიტეტო დონეზე, თავისუფლად შეგვიძლია, რომ ეს სამწლიან საბაკალავრო პროცესში ჩავრთოთ“, – აღნიშნა **მიქანაძემ.**

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** აცხადებს, რომ მათი ამოცანაა რესურსების ოპტიმიზაცია და უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის გათანაბრება. ამასთან, კობახიძემ იმ კრიტიკის საპასუხოდ, რომ 11-წლიან სასკოლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში, მოსწავლეებს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა შეეზღუდებათ, აღნიშნა, რომ თუ 11 წელი არის სასწავლო პროგრამის გასავლელად საკმარისი, უნდა შემოვიფარგლოთ 11 წლით და სხვა რამის გამო, არ შეიძლება, დავამატოთ მეთორმეტე წელი.

„პირველ რიგში, გამოწვევიდან გამომდინარე, გვინდა, დავამკვიდროთ ერთი ძალიან მკაფიო პრინციპი: ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტი. თბილისი რომ ავიღოთ, პირველ რიგში, თბილისში ერთი ფაკულტეტი იქნება შექმნილი მხოლოდ ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაბამისად, ეს გამოიწვევს რეორგანიზაციას და ფაკულტეტების გადანაწილებას უნივერსიტეტებს შორის. ეს გადანაწილება უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის ტრადიციული ფუნქციებისა და მათი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

განათლების რეფორმა აუცილებელია!



„სიბნელის“ რეფორმის შედეგები – მასწავლებლის ნაცვლად აგენტი, მოსწავლის ნაცვლად მსხვერპლი?

„ცოდნა სიმდიდრეა, მერე იმისთანა მაღლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება. ცოდნა ანთებულ სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგივერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა. სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ოდნავ ბჟუტავდეს სიბნელეში, ქურდს, ყაჩაღს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, ესე იგი, ჭლვიძავთო; დაგვიანებულ შინაურს კი ახარებს იმით, რომ იქ ფხიზლები დამხვდებიანო.

ცოდნა სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვება და გაქრება ხოლმე. ერთხელ ანთებული ცოდნა კი არასოდეს არ გაქრება: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილიშვილზე, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული“.

ეს სიტყვები ალბათ ბევრს ზეპირად ახსოვს, რადგან, როგორც წესი, აღრებავშვობაში, ჩვენი უპატიოსნესი პედაგოგებისგან ნასწავლი ეს სიბრძნე, ისევე როგორც მათი ყველა სიტყვა, ადამიანის გონებაში ისე ჩადუღაბდება ხოლმე, რომ მას მთელი სიცოცხლე ვერავინ და ვეღარაფერი ვეღარ წაშლის და გაქრობს.

პედაგოგი, მასწავლებელი ყოველთვის იყო და იქნება ბავშვისთვის ცოდნის კარის გამღები და ცხოვრების მთავარი მეგზური, ხოლო ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებში არ არის მხოლოდ კონკრეტული ადამიანის მიერ შეძენილ ცოდნაზე ლაპარაკი. აქ ცოდნა განზოგადებულია მთელ ქვეყანაზე, როცა სახელმწიფო, ერი, ქვეყანა განათლებულია, ის კაშკაშა სანთელს ემსგავსება, რომელზეც „ათას სხვა სანთელს რომ მოუკიდო, შენ არაფერი დაგაკლდება, თუ არ მოგემატება“.

წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ მმართველობა ისეთ ექსტრემალურ ვითარებაშია მავნებლური ოპოზიციური, სინამდვილეში, ყაჩაღური ჯგუფების მიერ, რომ შიდა საქმეების მოგვარებას და ნაცების მიერ, თავის დროზე, დამღუპველი გადაწყვეტილებების შედეგების აღმოფხვრას, როგორც იქნა, ნელ-ნელა, ახლა იწყებს.

„ცოტა ხანში ვგეგმავთ გარკვეული გეგმების პრეზენტაციას და ვფიქრობთ, რომ სკოლების ნაწილიც უნდა გადავიდეს 11-წლიან სასწავლო პროგრამაზე“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 16 ოქტომბერს უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციის პროექტის წარდგენისას.

პარგია, რომ ჩვენი ხელისუფლება, გოლოს და გოლოს დაინტერესდა ამ პროგლემით, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, სწავლება 11-წლიანი იქნება თუ 12-წლიანი, ჩვენ გვჭირდება სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ფიქრობს ახალგაზრდა, სწავლობს და ეძებს ცოდნას.

დღეს ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილს არც წიგნი უნდა, არც კითხვა, არც ფიქრი, მას უნდა, რომ სასწავლებელში არ წავიდეს, დადგეს აქციაზე არა სასწავლო პროცესის თუ მოდელის გაუმჯობესების მოთხოვნით, არამედ მერკანტილური ინტერესებით გონებადაგნელებული უფროსების გვერდით, ხელისუფლების დასამხობად...

სულ ახლახან უნივერსიტეტის პროფესორმა, მეტად აქტიურმა პედაგოგმა **მარინე ჩიტაშვილმა** ერთ ტელევიზიასთან ინტერვიუში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად დაგეგმილი „მშვიდობიანი რევოლუციის“ ჩაშლა“ და ე.წ. ოპოზიციის პროვოკაციულ-არასერიოზული ხტუნვა-ტლინკაობის კრახი ასე ახსნა: **„4 ოქტომბერი რომ განვითარებულიყო უფრო დრამატულად, ყოფილიყო მსხვერპლი, სისხლი, გასროლა, მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს 4 ოქტომბერი იქნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობისო“...**

დააკვირდით: ამას ამბობს უნივერსიტეტის პედაგოგი-პროფესორი.

იხ. 9 გვ.

ბუნებრივია, სტუდენტებისთვის იქნება უზრუნველყოფილი გარდამავალი პერიოდი, ვინც სწავლობს კონკრეტულ უნივერსიტეტში, მას ექნება საშუალება, დაამთავროს ის შესაბამისი უნივერსიტეტი, შესაბამისი სპეციალობით. ძალდატანებით, რა თქმა უნდა, არავითარი ცვლილება არ განხორციელდება, ერთადერთი, სტუდენტებს შეუძლიათ, ნებაყოფლობით აირჩიონ მობილობის წესით სხვა უნივერსიტეტში გადასვლა. გარდამავალი ეტაპი სტუდენტებისთვის იქნება უზრუნველყოფილი, პატივს ვცემთ, რა თქმა უნდა, თითოეული სტუდენტის არჩევანს“, – განაცხადა პრემიერმა.

ექსპერტების განსხვავებული შეფასებები

კომპიუტერული ინჟინერიის პროფესორი **ნანა დიხამინჯია** დაანონსებულ განათლების რეფორმას და პრემიერ-მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, ამით **„პირდაპირ გვეუბნება ხელისუფლება, რომ მათ არ სურთ, საქართველო იყოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი“.**

მას ილიაუნის მაგალითი მოჰყავს და ამბობს, რომ მთავრობას სურს, ამ უმაღლეს სასწავლებელს ჩამოაშორონ საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მიმართულებები და დაუტოვონ მხოლოდ ჰუმანიტარული.

„ცალ-ცალკე საკითხებად ჩავყვები ყველაფერს. საკითხი ერთი:

რას ნიშნავს, ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტი?

ასე წერია მათ კონცეფციაში, რომელიც კონცეფცია კი არა, საწყისი მონახაზის მონახაზია, ერთ დღეში რომ დაწერდა განათლების ნებისმიერი ექსპერტი. შეგახსენებთ, ჯერჯერობით, მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეხება და ამ კონცეფციაზე 10 თვე მუშაობდა სახელმწიფო კომისია.

კონცეფციაში წერია, რომ საუნივერსიტეტო სისტემაში რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, სახელმწიფო უნივერსიტეტებში უნდა დაინერგოს პრინციპი: ერთი ქალაქი – ერთი ფაკულტეტი. შესაბამისად, თბილისში სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში მოქმედი ფაკულტეტები უნდა გადანაწილდეს კონკრეტულ უნივერსიტეტებზე, არსებითად, მათი ტრადიციულ პროფილისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. ახლა, აგიხსნით, რას გულისხმობენ: მაგალითად, ილიაუნის ტრადიციული პროგრამები იყო უცხო ენები და პედაგოგიკა. როგორც ჩანს, უნდათ, რომ მოაცილონ საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მიმართულებები და დაუტოვონ ჰუმანიტარული.

ათასწლეულის კორპორაციის დაფინანსებით, წლები შევალიეთ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ილიაუნში საინჟინრო და ტექნოლოგიური პროგრამების განვითარებას. დაახლოებით, 2 მილიონი დოლარი დაიხარჯა ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის, და სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამებისთვის საჭირო ლაბორატორიების შექმნაში. რადგან ტრადიციულად, ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰქონდა სამოქალაქო ინჟინერიის, ისევე როგორც კომპიუტერული და ელექტრული ინჟინერიის პროგრამები, ილიაუნს ჩამოართმევენ ამ ლაბორატორიებსაც და პროგრამებსაც და მიაწებებენ ტექნიკურს. ოღონდ, ილიაუნის კომპიუტერულ ინჟინერიას საერთაშორისო, ძალიან პრესტიჟული ABET აკრედიტაცია აქვს, რომელზე საუბრითაც სამი წელი ტვინი წაიღო განათლების სამინისტრომ და დანარჩენი სამი საინჟინრო პროგრამაც ამ აკრედიტაციის მიღების პროცესშია.

ასევე, შეგახსენებთ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი უკვე დიდი ხანია, წელიწადში 400 სამოქალაქო ინჟინერს უშვებს ბაკალავრის ხარისხით, ოღონდ ქვეყანაში თითზე დასათვლელია რეალური სამოქალაქო ინჟინრები და ყველა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ყოველთვის ვუკვეთავთ უცხოელებს. ასევე, ილიაუნს აქვს გადასარევი ბიოქიმიის, ბიოლოგიის, ზოოლოგიის მიმართულებები, რომლის გუნდი ახორციელებს უმაღლესი დონის საერთაშორისო კვლევებს. ამასაც რამეს უპირებენ, რადგან ეს ილიაუნის ტრადიციული მიმართულება არ იყო? კვლევით ინსტიტუტებს მოაცილებენ? სეისმური მონიტორინგის ცენტრს რას უზამენ, ყველაფერი უცხოური გრანტებით რომ გააკეთეს?

მაგრამ ილიაუნის მიმართ უსამართლობა რომც არ გვაინტერესებდეს, აქ გაცილებით დრმა პროგლემა იკვეთება: დღეს მთელი მსოფლიოს განათლება გადადის ინტერდისციპლინურობაზე და პროგრამების მოქნილობაზე, სადაც სტუდენტს უნდა ჰქონდეს ძალიან ფართო არჩევანი, რომ აიღოს მისთვის საინტერესო მაინორი, ან ორმაგი დიპლომი. დღეს ყველა უნივერსიტეტი ცდილობს ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას და თითქმის ყველა სფეროს კვლევები უკვე იკვეთება კომპიუტერულ მეცნიერებებთან, ტექნოლოგიებთან და ინჟინერიასთან. როგორ წარმოუდგენიათ ამის განხორციელება, თუ ასე უნდა დაყონ უნივერსიტეტები ფაკულტეტებად? თუ საბჭოთა, ხისტ, მოუქნელ სისტემაში დაბრუნებაა მიზანი?

მესამე ამბავი: ENQA და EQAR წევრობა, რომლის მიღწევაზე რამდენიმე წელი და უზარმაზარი ენერგია დახარჯა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა, შარშან დაკარგეს – ერთ-ერთ მთავარ მიზეზად აღნიშნულია ხელისუფლების ჩარევა უნივერსიტეტების ავტონომიაში. ეს წევრობა ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩვენი უნივერსიტეტები იყვნენ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, შემუშავდეს სხვა უნივერსიტეტებთან ორმაგის ხარისხის პროგრამები და მარტივი იყოს ჩვენი განათლების ხარისხის აღიარება. როგორ წარმოუდგენია კობახიძეს, ევროპელი ექსპერტები რომ უნივერსიტეტების ასეთ უხეშ მიჭრა-მოჭრას ნახავენ, შეფასებაში რას დაწერენ? ამით პირდაპირ გვეუბნება ხელისუფლება, რომ მათ არ სურთ, საქართველო იყოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი. დასკვნები თავად გააკეთეთ“, – წერს ნანა დიხამინჯია.

კრიტიკოსების შეფასებებს გამოეხმაურა ექსპერტი **ნინო ფოჩხუა.** მისი შეფასებით, არ არსებობს, რომ მთავრობის მიერ გაჟღერებულ თემას, რეფორმას, პროექტს არ მოჰყვეს უსამშობლოების ისტერიული ყაყანი და საზოგადოებაზე ზემოქმედება.

„როგორც იქნა, იწყება ნანატრი განათლების რეფორმა. იმის მაგივრად, დაელოდონ, ჩაერთონ განხილვებსა და დებატებში, ამოიჩემეს მე-12 კლასის გაუქმება და დაიწყეს ხალხის დაზაფვრა. იცის კი შეფ-მზარეულმა ლუკა ნაჭყებიამ, რა ხდება მე-12 კლასებში, არავინ რომ არ დადის გაკვეთილებზე, ესეც არ იცის შეფმა და თითქმის ყველა მე-12 კლასელი რეპეტიტორებთან რომ ემზადება?

ვნახეთ ჩვენ თქვენი საყვარელი ხელისუფლების მიერ ჩატარებული განათლების რეფორმა, სააკაშვილი ქალაქ-ქალაქ რომ დადიოდა და რეპეტიტორები აღარ დასჭირდება თქვენს შვილებს, ისეთ რეფორმას ვატარებო, ატყუებდა მშობლებს. გაუქმდა კი არა, კიდევ უფრო გაძლიერდა რეპეტიტორთა ინსტიტუტი. ზუსტად სააკაშვილის განათლების რეფორმის შედეგია ის უზრდელი, ემოციისგან და სიყვარულისგან დაცლილი ახალგაზრდობა, ვინც შემორჩა ძალადობრივ აქციებს. მოკლედ, ამათ აღარ უნდა ვუსმინოთ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, ჩვენ კი საქმე ვაკეთოთ ქვეყნის წინსვლისთვის და განვითარებისთვის“, – წერს **ნინო ფოჩხუა.**

ნიკო ჩოხელი

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი



ზაზა ალექსიძე – 90

ზაზა ალექსიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საფრანგეთის წარწერათა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემიის უცხოელი წევრი, გელათის აკადემიის აკადემიკოსი, დირსების ორდენის კავალერი, საერთაშორისო ასოციაცია „ფრანგული რენესანსის“ ოქროს ორდენისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლის მფლობელი, საქართველოს სინას მთის ქართულ სიძველეთა შემსწავლელი სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, წმინდა ეკატერინეს მონასტრის საერთაშორისო მზრუნველთა საბჭოს წევრი, აზია წყნარი-ოკეანეის აღმოსავლური ქრისტიანობის შემსწავლელი ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი, ათონის მონასტრის ქართულ სიძველეთა შემსწავლელი პროგრამის ხელმძღვანელი; 1979-2012 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგე, 1989-2006 წლებში პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი; 190-ზე მეტი ნაშრომის, აქედან 25 მონოგრაფიის ავტორი; მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ზაზა ალექსიძე ქართულ სამეცნიერო სივრცეში „ეპისტოლეთა წიგნით“ შემოვიდა. 1968 წელს გამოიცა ეს ნაშრომი (ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ. 1968) და სამეცნიერო საზოგადოებისთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მოვიდა მკვლევარი, რომელიც დაარღვევდა ჯეგირებს, შექმნიდა საკუთარ ეპოქას – ძველ კორიფეთა ნააზრევის საფუძველზე შექმნიდა ახალ ცოდნას; საქართველოში ზაზა ალექსიძის აღმოჩენების ეპოქა დაიწყო. 33 წლის მკვლევარმა გარდა ძველი სომხურიდან ბრწყინვალედ შესრულებული ქართული თარგმანისა და ტექსტზე დართული უმნიშვნელოვანესი კომენტარებისა, განახორციელა კვლევა ისეთი ფართო კონტექსტით, როგორც ეს მხოლოდ დიდ და გამოცდილ მეცნიერებს ხელეწიფებათ – მან შეისწავლა ამიერკავკასიის ქვეყნების საეკლესიო განხეთქილება არა მხოლოდ როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი, არამედ როგორც საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიების ურთიერთობის გარკვეული ისტორიული მომენტი, რომელიც შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი აღმოჩნდა ამ ხალხების შემდგომი ცხოვრებისა და განვითარებისათვის.

ზაზა ალექსიძემ მოახერხა, რომ ერთ ნაშრომში ძალიან ლოგიკურად გაეერთიანებინა ისეთი საკითხები, როგორიცაა – ქართული, სომხური და ალბანური დამწერლობების წარმოშობა; კავკასიის ეკლესიათა იერარქიული ურთიერთდამოკიდებულების საკითხი; მათი საგარეო ორიენტაციის საკითხი; შეძლო დაესაბუთებინა, რომ ქართლის ეკლესია არ ყოფილა აქ დამოკიდებულის როლში; დაებრუნებინა საქართველოს ისტორიაში კირონ მცხეთელის სახელი და საქმეები, დაეწყო საუბარი მცხეთის ჯვრის როლსა და მნიშვნელობაზე სრულიად ქართლისათვის.

ამ გამოკვლევას ლოგიკურად მოჰყვა „უხტანესი, „ისტორია გამოყოფის ქართველთა სომეხთაგან“ (უხტანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1975, სადაც ისევ სახეზეა ძველი სომხური ტექსტის უბადლო ქართული თარგმანი და კვლევა, რომელიც არა მხოლოდ აგრძელებს და აღრმავებს წინა მონოგრაფიაში დასმული პრობლემების კვლევას, არამედ წამოჭრის ახლებს – ძველი სომხური ტექსტების გვიანდელი ავტორების მხრიდან რედაქტირების საკითხი, „შუშანიკის წამების“ რედაქციათა X ს-ის სომეხ ავტორთათვის ცნობადობის საკითხი, საეკლესიო განხეთქილებასთან დაკავშირებული ლეგენდების თემა და სხვა) და არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ (არსენი საფარელი. განყოფისათთს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1980), სხვადასხვა წლებში დაიწერა აგრეთვე სტატიათა მთელი წყება: „მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის“, „კავკასია და ქრისტიანული აღმოსავლეთი IV და VI მსოფლიო კრებებს შორის“, „საქართველო-სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობა VI-VII საუკუნეებში“, „მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა“, „ამიერკავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ორიენტაციის დოგმატური საფუძვლები“, „მცხეთის ჯვარი მცველი ყოვლისა ქართლისა“, „ვინ იყო ტაოს პირველი ეპისკოპოსი“, „ტაოს საეპისკოპოსო VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში“, „X-XIII საუკუნეების სომხური წყაროები VII საუკუნის დამდეგს სომხეთ-საქართველოს შორის მომხდარი საეკლესიო განხეთქილების შესახებ“, „დვინის მეორე ადგილობრივი კრება სომხეთში“, ენციკლოპედიისათვის: „მონოთელიტობა“, მონოფიზიტობა“, დიოფიზიტობა, ნესტორიანობა“, და ბოლოს ისევ მონოგრაფია – „თეოლოგიური პოლემიკა კავკასიაში VI საუკუნეში“ (2015). როგორც შედეგი – ზაზა ალექსიძემ მოგვცა ნათელი სურათი იმისა, თუ რამ მიიყვანა კავკასიის ეკლესიები განხეთქილებამდე, როგორ მიმდინარეობდა სქიზმა ამიერკავკასიაში, როგორი იყო მისი აღქმა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ და რამდენად განსაზღვრა მან საქართველოს, სომხეთისა და ალბანეთის ურთიერთობები მრავალი საუკუნის განმავლობაში.

„მრავალ მეცნიერს ან მოყვარულს აღმოუჩენია უცნობი დამწერლობით შესრულებული ტექსტები, მეცნიერს ან მოყვარულს უმუშავია უცნობი დამწერლობების გაშიფვრაზე, მაგრამ შედეგით მიღებული მედნიერების განცდა და პატივი მხოლოდ ერთეულებს ხვდომიათ წილად. დავიწყება იმათი, ვისაც მცდარი შედეგი მიუღია ან სულ არა ჰქონია შედეგი, თუკი მათი გატაცება ჯანმრთელი აზრის გამოვლენა იყო, ჩემი აზრით, ისტორიის უსამართლობაა. ყველა წარმატებული აღმოჩენა წარუმატებელი ცდების, შეცდომით განვლილი გზების ავტორთა მხრებზე დგას.

მათ ხსოვნას, ვისი სახელიც დაივიწყა ისტორიამ ან მხოლოდ შეცდომებით დაიმახსოვრა, უძღვნის ამ წიგნს ავტორი.“

* * *

სინას ექსპედიციებზე მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად ალბანური თემატიკის გარდა ზაზა ალექსიძემ სხვა სენსაციური აღმოჩენებითაც გაგვაოცა – მან მიაკვლია „მოქცევაა ქართლისაას“ და „ასურელ მამათა“ ცხოვრების უძველეს რედაქციებს. ამ მასალის შესწავლას მკვლევარმა 30-ზე მეტი სტატია და ორი მონოგრაფია უძღვნა.

მეცნიერი არის არა ის, ვისაც სურს იყოს მეცნიერი, არამედ ის, ვისაც არ შეუძლია, არ იყოს მეცნიერი...
ზაზა ალექსიძე

მნიშვნელოვან ეტაპად ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში მისი და ატენის სიონის ეპიგრაფიკის შეხვედრა იქცა. გ. აბრამიშვილთან ერთად აქ აღმოჩენა აღმოჩენაზე კეთდებოდა, რაც ცვლიდა და აზუსტებდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ბევრ კარდინალურ საკითხს. მხოლოდ ორი მათგანიც რომ გავიხსენოთ, კარგად გამოჩნდება ამ ძეგლზე გაწეული შრომის მნიშვნელობა: ზაზა ალექსიძემ დაასაბუთა, რომ VII ს-ის ძეგლის, ატენის სიონის, ე.წ. თოდოსაკის სომხური წარწერა არის არა აღმშენებლის, არამედ X ს-ის 80-იანი წლების რესტავრატორისა, რითაც მოიხსნა საკითხი ატენის სიონის სომეხი ხუროთმოძღვრის, თოდოსაკის მიერ აშენების შესახებ; მან ატენის სიონის წარწერებში მიაკვლია IX ს-ის ქართულ რითმიან ლექსებს, რითაც აჩვენა, რომ ქართული საერო მწერლობა XI საუკუნეში კი არ გაჩენილა, არამედ უკვე IX საუკუნეში არსებობდა. „ატენის სიონის ოთხი წარწერა“, „ატენის სიონის სომხური წარწერები“, „ფრესკული წარწერები, ტ. I, ატენის სიონი“, „ახლადაღმოჩენილი სომხური გრაფიტო ატენის სიონში“ – ამ ნაშრომებში წარმოდგენილი კვლევები ასევე აჩენს დიდ პერსპექტივებს, ახლებურად წარმოადგენს ატენის სიონის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში, მის ადგილს საქართველოსა და სომხეთის ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობათა კვლევაში და სხვა.

ატენის სიონის წარწერებზე მუშაობას მოჰყვა სწორედ ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიის შესასწავლად უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები, გურამ აბრამიშვილთან თანაავტორობით ქვეყნდება სტატია „მხედრული დამწერლობის სათავეებთან“, რამაც შეცვალა არა მხოლოდ მხედრული დამწერლობის გამოყენების ქვედა ზღვარი, არამედ ნუსხური დამწერლობის უადრეს ნიმუშებსაც მოჰფინა ნათელი.

ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაშრომებს, რომლებიც 1990-2000 წლებში სინას მთაზე მისივე ხელმძღვანელობით ჩატარებული ქართველ მეცნიერთა ექსპედიციების დროს გამოვლენილი მასალის კვლევის შედეგად შეიქმნა. მის მიერ ალბანური მწერლობის ძეგლის აღმოჩენამ და გაშიფვრამ წარმოშვა ახალი კვლევითი სამყარო, რომლის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. ამჯერადაც ზაზა ალექსიძემ დაგვარწმუნა, რომ მისი თვალსაწიერი კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე ვიცოდით, მისი მეცნიერული აზროვნება კიდევ უფრო მასშტაბური, ის ისევ ბედავს და ვარაუდობს იმას, რის დაშვებასაც სხვა ალბათ ვერ გაბედავდა, და აკი პირველ მის გამოსვლას ძალზედ სკეპტიკურად შეხვდნენ – მეცნიერებათა აკადემიაში გაკეთებულ წინასწარი შედეგების ანგარიშზე მას ცივად მოუსმინეს! მაგრამ ზაზა ალექსიძე ზაზა ალექსიძე არ იქნებოდა შეუძლებელი რომ არ შეეძლო – მან უეჭველად დაასაბუთა, რომ ახლადგახსნილ ხელნაწერ ფურცლებზე სწორედ ალბანური დამწერლობა იყო წარმოდგენილი.

„საუკუნის აღმოჩენა“ – ასე შეაფასეს ზაზა ალექსიძის მიერ ალბანური მწერლობის ძეგლის გამოვლენა დასავლურმა ტაბლოიდებმა, რის შედეგადაც მკვლევრებს საშუალება მიეცათ, შეესწავლათ კავკასიის დაკარგული ქვეყნის, დაკარგული ხალხის ენა და მწერლობა. ის გახდა ფუძემდებელი ალბანოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის. ქართულ-ალბანური პალიმფსესტის აღმოჩენამ და გაშიფვრამ ბიძგი მისცა სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული პალიმფსესტების შემსწავლელი საერთაშორისო მრავალდარგობრივი პროექტის ამოქმედებას, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები ჩაერთვნენ და რომლის შედეგებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცოდნა შუა საუკუნეების შესახებ. დღეს ალბანური ენისა ან ალბანეთის ისტორიის შესწავლა და კვლევა ქართველი მეცნიერის ნაშრომების – „ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე“ (1998წ.), „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“ (2003წ.), „კავკასიის ალბანეთის ისტორია“ (წიგნში: THE CAUCASIAN ALBANIAN PALIMPSESTS OF MT.SINAI. VOLUME I, II. EDITED BY JOST GIPPERT, WOLFGANG SCULZE, ZAZA ALEKSIDZE, JEAN-PIERRE MAHE//MONUMMENTA PALEOGRAPHICA MEDII AEVI, SERIES IBERO-CAUCASICA, DIRIJEE PAR ZAZA ALEKSIDE. VOL.I-II. BREPOLS: 2008. თანაავტორი ჟ.პ მაე, ინგლისურ ენაზე) გარეშე წარმოუდგენელია.

ზაზა ალექსიძე ღირსეულად და ამასთან ჭეშმარიტად დიდი მეცნიერებისათვის ჩვეული თავმდაბლობით შეხვდა ზემოხსენებული აღმოჩენით მოპოვებულ უდიდეს აღიარებასა და პოპულარობასაც. აი, ასეთი მიძღვნა წარუმძღვარა თავის წიგნს „კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა“ (2003წ.), სადაც ალბანურ დამწერლობასთან დაკავშირებული ძირითადი და უმთავრესი შედეგები წარმოადგინა:

„მოქცევაა ქართლისაას“ და ე.წ. „ქრონიკის“ უცნობი ხელნაწერების კვლევამ მრავალ კითხვას გასცა პასუხი და ახლებურად დააყენა ამ ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლის მნიშვნელობის საკითხი. ზაზა ალექსიძემ წარმოაჩინა მანამდე დაუფასებელი „მოქცევაი ქართლისაას“ ჭელიშური რედაქციის მნიშვნელობა „მოქცევაას“ ტექსტის არქეტიპის აღდგენის საქმეში, დაადგინა „ქრონიკაში“ დაცული ქართლის კათოლიკოსთა სია, კელასურის ზღუდის აგების დრო და აგების ინიციატორთა ვინაობა; მონოგრაფიაში „საქმენი იოვანე ზედაზადნელისანი“ და „მარტვილობაა აბიბოს ნეკრესელისაა“ სინური ხელნაწერები“ (2019), გამოაქვეყნა „ასურელ მამათა ცხოვრების“ ტექსტი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა დართულ ანდერძ-მინაწერებში შემონახული კავკასიოლოგიისათვის მეტად ღირებული ახალი ცნობები, რომლებიც აზუსტებენ და რიგ შემთხვევებში ცვლიან კიდეც ჩვენს წარმოდგენებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა ქართლის ერისმთავართა გენეალოგია, ბაგრატიონთა ქართლში გამოჩენის და დამკვიდრების დრო, სამშვილდის სიონის მშენებლობის თარიღი და მაშენებლის ვინაობა.

ზაზა ალექსიძემ ამ მასალაში აღმოაჩინა და სამეცნიერო წრეებში შემოიტანა ახალი ცნობა რუვისთაველთა საგვარეულოზე, რომლის თანახმადაც შოთა რუსთაველის წარმომავლობა ამჯერად ჰერეთს უკავშირდება („ცნობა „რუვისთაველთა“ და „მეწკევნელთა“ საგვარეულოს შესახებ“ (2019); დამაჯერებლად აჩვენა სომხური წარმომავლობისად მიჩნეული აბუქაბიანთა საგვარეულოს, კერძოდ ედესის დუკას – აბუქაბ ზოლავარის ქართველ დიდებულთა წრისადმი კუთვნილება („ვინ იყო აბუქაბ ზოლავარი?“ (2013წ.).

ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა ძალიან რთულია, რადგან მას არ აქვს ნაშრომები, რომლებიც შეიძლება გამოტოვო და არ ახსენო. ყველა მნიშვნელოვანია, ყოველ მათგანში არის სიახლე, რომელიც ცვლის ძველ შეხედულებებს და შემდგომ კვლევას მოითხოვს. ასე მაგალითად, ნაშრომით „ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო“ (2011წ.) ზაზა ალექსიძემ საქართველოს ისტორიას დაუბრუნა მნიშვნელოვანი ფიგურა – სპანდაღუდ ტბელი, მე-

დავით გურგენიძე:

წინა ხელისუფლების დროს ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების დიდი ნაწილი მიიტაცა ყოფილი პრეზიდენტის ოჯახმა!

ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელი გენერალურ პროკურატურას წერილით მიმართავს. დავით გურგენიძე ითხოვს, დაიწყოს საქმის გამოძიება, თუ როგორ აღმოჩნდა ერთ ლარად გიული ალასანიას ხელში უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსი. გურგენიძე საქმის გამოძიების დროს ალასანიას ქონების დაყადაღებას და საბოლოოდ, ქონების ტექნიკური უნივერსიტეტისათვის დაბრუნებას მოითხოვს.

„მოგეხსენებათ, რომ წინა ხელისუფლების დროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების დიდი ნაწილი ფაქტობრივად, მიიტაცა ყოფილი პრეზიდენტის ოჯახმა. არის ეჭვი, რომ იყო სავარაუდოდ, სისხლის სამართლის დანაშაული.

ამიტომ ჩვენმა უნივერსიტეტმა, პირადად მე, უნივერსიტეტის კანცლერმა, კოლეგიალურმა ორგანოებმა, აკადემიურმა საბჭომ, წარმომადგენლობითმა საბჭომ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ მიგვემართა საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არც ერთი „კაპიკი" არ მიუღია. მან [გიული ალასანია] გადაიხადა თუ არა საქართველოს მიუჯეტში, ეს უკვე გენერალური პროკურატურის მოკვლევის საგანია. ეს არის უდიდესი, ისტორიულად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორია"...

კითხვაზე, შეიძლება, ითქვას თუ არა, რომ ომის დროს მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ დედას სახელმწიფო ქონება სიმბოლურ თანხად გადასცა, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა: **„ამას გამოძიება დააადგენს, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ: აგვისტოს ომის დროს და არა მხოლოდ ომის დროს, დაახლოებით 2-3 წელი მიმდინარეობდა ამ ქონების არაკანონიერი დატაცება. ზიანი უნდა იყოს დადგენილი. ამაზე უნდა ჩაატაროს პროკურატურამ ექსპერტიზა და ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, რა ზიანზეა საუბარი"...**

თერთმეტე საუკუნის ბიზანტიის იმპერიის დიდმოხელე, პატრიკიოსი და ლაოდიკიის სტრატეგოსი, რომლის სახელიც დაკარგულიყო ისტორიის წიაღში; ან კიდევ ზაზა ალექსიძის დამსახურება პეტრიწონის მონასტრის, ასევე მისი დამაარსებლის, გრიგოლ ბაკურიანის ძის, წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში (ნაშრომი გამოქვეყნდება წელს იმ სახით, როგორც ზაზა ალექსიძემ დატოვა).

სრულიად განსაკუთრებულია ზაზა ალექსიძის წვლილი ქართული და სომხური ეპიგრაფიკული თუ ფრესკული წარწერების კვლევის საქმეში. ქართველი და სომეხი მეცნიერებისათვის დღემდე სამაგიდო წიგნად დარჩება „ატენის სიონის სომხური წარწერები", „ფრესკული წარწერები, ატენის სიონი", „დავათის სტელა", „მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა", „ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან", „წარწერა შორენკეცზე ხრანტიდან", „ლუვრი, სინას მთა, ნაზარეთი", „განძასარის წარწერა", „ლუვრი-ახტალა", „ქართული წარწერა (გრაფიტო) ჯაბალადან".

ზაზა ალექსიძის შრომათა ეს არასრული მიმოხილვაც ცხადყოფს, როგორი ფართოა მისი საბაზროვნო სივრცე, მუშაობის პროცესში ის ისტორიკოსიცაა და ფილოლოგიც, წყაროთმცოდნეცა და ტექსტოლოგიც, ენათმეცნიერიცა და თეოლოგიც, ეპიგრაფისტი და პალეოგრაფიც. დრო და გამოცდილება, პრობლემათა მასშტაბური ხედვა და ამიერკავკასიის ისტორიის სიღრმისეული ცოდნა მკვლევარს საშუალებას აძლევს დაწეროს ისეთი შემაჯამებელი ნაშრომები, როგორებიცაა: „საქართველოს ადგილი აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შორის შუა საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა თვალსაზრისით", ომისა და მშვიდობის ეთიკა ძველი ქართველი ისტორიკოსის თვალთახედვით", ქართველ ებრაელთა საღმრთო მისია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ტრადიციით" „ენა და სახელმწიფო ქართულ მწერლობასა და პოლიტიკაში", „ქრისტიანობა საქართველოში ანდრია პირველწოდებულიდან დღემდე", „სომეხთა წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია", „ისტორიის გაკვეთილები", „მცხეთის ჯვარი – მცველი ყოვლისა ქართლისა" და სხვა...

სწავლება ზაზა ალექსიძემ 1979 წელს დაიწყო, როდესაც ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს არმენოლოგიის კათედრის გამგედ. ამ დროისათვის კათედრა ნახევარ საუკუნეზე მეტსაც ითვლიდა და თავისი ტრადიციებიც ჰქონდა. ზაზა ალექსიძის მოსვლამ აქ ბევრი რამ შეცვალა. მან სრულიად შეცვალა სასწავლო კურიკულუმი, შემოიღო ახალი სასწავლო კურსები, მოიყვანა ახალი თანამშრომლები. მანამდე უფრო სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე ორიენტირებული მიმართულება, ქართულ-სომხური ურთიერთობების ფართო სპექტრით შემსწავლელ, ქართულ არმენოლოგიურ ახალ სკოლად აქცია. მისი ხელმძღვანელობით არმენოლოგიის კათედრა ამუშავდა უფრო საინტერესოდ, დაიწერა მნიშვნელოვანი სადიპლომო ნაშრომები და საკანდიდატო დისერტაციები, გაიხსნა ლ. მელიქსეთ-ბეგის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი კაბინეტი, გაიზარდა ამ კაბინეტთან არსებული არმენოლოგიის დარგობრივი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

ზაზა ალექსიძე ყოველთვის თანამედროვე ადამიანი იყო, კაცი, რომელსაც კარგად ესმოდა დროის მოთხოვნები და გამოწვევები, ის ბოლომდე ახალგაზრდად დარჩა, ახალგაზრდად, რომელიც ადვილად იღებდა ყველაფერს ახალს, ამ მუდმივი ახალგაზრდობის საიდუმლოს თვითონ სტუდენტებთან, მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან ურთიერთობით ხსნიდა: „როდესაც ნაშრომი იქმნება, ის არ იქმნება ისე, რომ არ ითვალისწინებდე მკითხველს...როგორი ინტერესით გისმენენ და რა კითხვებს გისვამენ...არაფერი ისე არ გეხმარება ახლებურად შეხედო თითქოს მოძველებულსა და გადაჭრილ პრობლემას, როგორც ახალგაზრდებთან ურთიერთობა".

ზაზა ალექსიძე იყო მამულიშვილი, ამ სიტყვის ნამდვილი და უცვეთი მნიშვნელობით. უყვარდა საქართველო მის ყოველგვარ გამოვლინებაში – ადამიანებში, გეოგრაფიაში, ხელნაწერებში, არქიტექტურაში. არასოდეს დაზარებია, შეშინებია ან დაუხევია უკან, როდესაც საქმე ქართული საქმის და ინტერესის დაცვას შეეხებოდა. ასე იყო 1978 წელს, როდესაც ზაზა ალექსიძემ ქართული ინტელიგენციის ნაწილთან ერთად ღირსეულად და უშიშრად გადაიხადა ბრძოლა ქართული ენისათვის. წერილი, რომელიც მან იმ დღეებში დაწერა, შემდეგ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ გამოიყენა საკუთარ გამოსვლაში, რათა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი დაცული იყო. ასე იყო მაშინ, როდესაც ზაზა ალექსიძე მთელი თავისი ცოდნითა და ავტორიტეტით მხარში ამოუდგა საქართველოს ეკლესიას და მის მწყემსმთავარს ილია მეორეს, როდესაც ის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისთვის იბრძოდა. ასე იყო ყოველთვის, როდესაც ვინმე საქართველოს ისტორიის გაყალბებას შეეცდებოდა, როდესაც სამეცნიერო პოლემიკაში ქართული პოზიცია იყო დასაცავი.

ასე იყო მაშინაც, როდესაც ზაზა ალექსიძე წლების განმავლობაში იბრძოდა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დიდი ქართველი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა შრომითა და ოფლით მოპოვებული უნიკალური კოლექცია შესაფერისად ყოფილიყო დაცული და მოვლილი.

„...ქვეყანაში, როდესაც ვინმე, ვინც უნდა იყოს იგი, თავს უფლებას მისცემს უკანონოდ იქნება ეს თუ კანონიერად, საკუთარი სახლი ააშენოს ბევრად უფრო უკეთესი, შიგნიდან და გარედან მოაწყოს ბევრად უფრო უკეთესად, დაიცვას ბევრად უფრო საიმედოდ, ვიდრე ის შენობა, რომელშიც ინახება მისი სამშობლოს უპირველესი სულიერი და ინტელექტუალური საგანძური, გავბედავ და ვიტყვი – ამ ქვეყანაში ადამიანთა ცნობიერება მძიმედ არის დაავადებული....". მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო, რომ 90-იან წლებში, როდესაც შუქი მხოლოდ რამდენიმე საათით მიეწოდებოდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც კლიმატის კონტროლი მთლიანად დამოკიდებული იყო ელექტროენერგიაზე, შუქი არ ქრებოდა და ხელნაწერებისათვის საჭირო ტემპერატურა მუდმივად იყო დაცული.

ზაზა ალექსიძემ სამეცნიერო კონტაქტები დაამყარა და განამტკიცა ევროპის ყველაზე ცნობილ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებთან (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, სორბონის უნივერსიტეტი და სხვ.) მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით არა ერთი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი განხორციელდა (კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტების კვლევა, სინური წარმოშობის პალიმფსესტები და სხვ.).

ზაზა ალექსიძე სიცოცხლის ბოლომდე, 87 წლის ასაკშიც მუშაობდა და ნურავინ წარმოიდგენს, რომ მისი შემოქმედებითი გზა ია-ვარდებით იყო მოფენილი. წარმატება და აღიარება იყო, მაგრამ იყო შურიც, მიუღებლობა და ღალატიც. ასეთ დროსაც ბატონი ზაზა იყო პრინციპული და უდრეკი, ავის მსურველებს და მეტყველებს ბრწყინვალე სამეცნიერო ნაშრომებით ადუმებდა. ეს იყო მისი პასუხი.

ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შეფასებული და დაფასებული, ეს მომავლის საქმეა, ამ მცირე ნარკვევს კი დავასრულებთ ამონარიდით ბატონი ზაზას სიტყვიდან, რომლითაც მან 2002 წელს მიმართა ქართველ მეცნიერებს, რადგანაც აქ ძალიან კარგად ჩანს, მისი ცხოვრებისეული და პროფესიული პრინციპები:

„...მნიშვნელოვანი სამეცნიერო თეორიები და აღმოჩენები, საერთოდ სისხლსავსე სამეცნიერო ცხოვრება არამარტო შედეგია კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებისა, არამედ თვითონაც უწყობს ხელს ამ ცივილიზაციის შეუფერხებელ განვითარებას. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე და ყოველგვარ პირობებში საქართველო ახერხებდა ყოფილიყო აქტიური მონაწილე ამ პროცესისა. მე ვუსურვებდი ჩემს ქვეყანას მომავალ და შემდგომ წლებში თავისი გაუფრთხილებელი მოქმედებით არ ამოვარდნილიყო ამ ფერხულიდან, არ აღმოჩენილიყო თანამედროვე ცივილიზაციის შემოქმედთა გარეშე.

.... ტყუილად არ ამბობენ, რომ მეცნიერი არის არა ის, ვისაც სურს იყოს მეცნიერი, არამედ ის, ვისაც არ შეუძლია არ იყოს მეცნიერი... ტალანტის გამოვლენა ყოველთვის ლამაზია, იქნება ეს მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მე ვუსურვებ ჩვენს საზოგადოებას მომავალშიც არ მოჰკლებოდეს ან თავისი დაუფიქრებელი მოქმედებით თვითონ არ მოიკლოს, ასეთი სილამაზით ტკბობის შესაძლებლობა."

ასე სწამდა, ასე იცხოვრა და იშრომა, წავიდა სრულად ვალმოხდილი საკუთარი საქმისა და იდეალების წინაშე.

ნათია ჩანტლაძე,
თსუ ასოცირებული პროფესორი;

დალი ჩიტუნაშვილი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბრიტანულ გაზეთ **„დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„მოსკოვიდან ბუდაპეშტში: რამდენად შესაძლებელია პუტინის თვითმფრინავის ჩამოგდება ან მისი დაპატიმრება. სამი ვარიანტი“** (ავტორები – **კირან კელი, ჯო ბარნსი**). პუბლიკაციაში განხილულია უნგრეთში დაგეგმილი **დონალდ ტრამპისა** და **ვლადიმერ პუტინის** სამშვიდობო სამიტთან დაკავშირებული სავარაუდო პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით მოსკოვი-ბუდაპეშტის ავიამარშრუტის არჩევის საკითხს ეხება.

გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:

The Daily Telegraph

How Putin could reach Hungary peace summit without being shot down or arrested

Russian leader risks arrest or attack as he flies to meet Trump. Here are three routes he could take

Kieran Kelly, James Crisp Europe Editor, Joe Barnes Brussels Correspondent

Related Topics
Russia-Ukraine war, Vladimir Putin, Donald Trump, Hungary, Aviation, Nato (North Atlantic Treaty Organization)

17 October 2025 3:35pm BST

219

Gift this article free

მოსკოვიდან ბუდაპეშტში...
ვინ ჩამოაგდებს პუტინის თვითმფრინავს?

როცა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინს გუდაპეშტში შეხვდება უკრაინის საკითხებზე, ვიქტორ ორბანი მიესალმა აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და აღნიშნა, რომ უნგრეთი ერთადერთი ადგილია ევროპაში, სადაც შეიძლება ორი ლიდერი ერთმანეთს შეხვდეს.

მაგრამ დონალდ ტრამპის მიერ შერჩეული ადგილი რუსეთის პრეზიდენტისათვის პრაქტიკულ და იურიდიულ დაბრკოლებებს ქმნის. ვლადიმერ პუტინი ისე ვერ მიაღწევს ბუდაპეშტამდე, თუ არ ისარგებლებს უნგრეთის მოსაზღვრე რომელიმე ქვეყნის საჰაერო სივრცით, რომლებიც, თავის მხრივ, ან ნატოს წევრები არიან, ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (International Criminal Court, ICC) სტატუტს აღიარებენ.

სასამართლოს ვლადიმერ პუტინის დასაპატიმრებლად ორდერი აქვს გაცემული, რაც იმას ნიშნავს, რომ უნგრეთი და მისი მეზობლები, სერბეთისა და რუმინეთის ჩათვლით, ტექნიკურად ვალდებულები არიან, თუ რუსეთის ლიდერის თვითმფრინავი მათ საჰაერო სივრცეში აღმოჩნდება, აიძულონ დაეშვას რომელიმე აეროპორტში და ვლადიმერ პუტინი დააკავონ. უნგრეთმა, მართალია, სასამართლოს (ICC) სტატუტის აღიარება უკან გაიწვია, მაგრამ გადაწყვეტილება იურიდიულ ძალაში ჯერ არ შესულა.

სამიტის ადგილად ბუდაპეშტის გამოცხადებამ უკვე გამოიწვია დიპლომატიური სკანდალი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი უნგრეთს მოუწოდა, როგორც კი ვლადიმერ პუტინი ბუდაპეშტში გამოჩნდება, დაუყოვნებლივ დააპატიმროს. თუმცა სხვა ქვეყნები უფრო ლოიალურად უყურებენ ამ საკითხს და საეჭვოა ისეთი ნაბიჯი გადადგან, რომელიც ხელს შეუშლის მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფოს (სამხედრო თვალსაზრისით) ლიდერთა შეხვედრას.

აი, სამი მიმართულება, რომელთაგან რუსეთის ლიდერს ერთ-ერთის არჩევა შეუძლია:



ა) სამსაათიანი მარშრუტი

ომამდე პირდაპირი ავიარეისი მოსკოვიდან გუდაპეშტამდე სამი საათი გრძელდებოდა, ბელარუსისა და უკრაინის საჰაერო სივრცის გავლით. ამჟამად უკრაინის საჰაერო სივრცეში ფრენა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან საომარი მოქმედებები აქტიურად გრძელდება. შესაბამისად, ამ სიგბოლური მარშრუტის შერჩევა ძალიან სარისკო იქნებოდა.

რომც არ არსებობდეს ოფიციალური გრძანება პუტინის თვითმფრინავის ჩამოგდების თაობაზე, არ არის გამორიცხული, რომელიმე საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფის მეთაურმა, პირადი ემოციების საფუძველზე, თვითნებურად სცადოს რუსულ „ნომერ პირველ ბორტზე“ შეტევა.

საყოველთაოდ ცნობილია ვლადიმერ პუტინის შიშები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კურსკის ოლქში ყოფნისას თითქოსდა პრეზიდენტის ვერტმფრენი უკრაინული დრონის შეტევის ობიექტი გახდა. ასე რომ, ნაკლებსავარაუდოა, რომ რუსეთის ლიდერმა გარისკოს და ბუდაპეშტში წასასვლელად ამ საჰაერო გზით ისარგებლოს.

ბ) ხუთსაათიანი მარშრუტი

არის შესაძლებლობა, რომ პუტინის „ილ-96“-მა უნგრეთში ჩასაფრენად ბელარუსისა და პოლონეთის ტერიტორიის საჰაერო სივრცით ისარგებლოს, შემდეგ მოუხვიოს სამხრეთით, სლოვაკეთს გადაუფრინოს და უნგრეთში დაეშვას. სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის წევრია, საეჭვოა, რომ პუტინის თვითმფრინავს რაიმე დაბრკოლება შეუქმნას.

სლოვაკი ლიდერი რუსეთის მიმართ სიმპათიებს ამჟღავნებს და ხშირად ბლოკავს ბრიუსელის გადაწყვეტილებებს, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. უფრო მეტიც, რობერტ ფიცო 9 მაისს მოსკოვშიც იყო ჩასული, ვლადიმერ პუტინს შეხვდა და წითელ მოედანზე გამართულ სამხედრო აღლუმს დაესწრო.

მაგრამ პრობლემა შეიძლება წარმოიქმნეს პოლონეთთან მიმართებით, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ საიმედო მეგობარსა და მოკავშირეს წარმოადგენს. ყველას ახსოვს ამასწინანდელი საერთაშორისო სკანდალი, როცა პოლონეთის საჰაერო სივრცეში რუსული დრონები შეფრინდნენ. იმ ხანებში ვარშავამ მტკიცედ განაცხადა, რომ რუსულ თვითმფრინავს, რაკეტას და დრონს დაუყონებლივ ჩამოაგდებს.

პოლონეთი ნატოს ამაყი წევრია და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული დამცველი, თუმცა უკიდურესად ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვარშავა პუტინის თვითმფრინავს მიზანში ამოიღებს და მასზე თავდასხმას შეეცდება – ასეთი ქმედება პროვოკაციული იქნება და საქმე შეიძლება ბირთვულ ომამდე მივიდეს (ნატოსა და რუსეთს შორის). მოკლედ, ეს მარშრუტი, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ვლადიმერ პუტინისთვის მიუღებელი იქნება.

გ) რვასაათიანი მარშრუტი

ყველაზე მეტად სავარაუდო ავიამარშრუტი რუსეთის პრეზიდენტისთვის თითქმის 8 საათს დაიკავებს.

იგი გაივლის სამხრეთით – თურქეთზე (თურქეთი ნატოს წევრია, მაგრამ რეჯეფ ერდოღანს ვლადიმერ პუტინთან კავშირების გაწყვეტა არ სურს), ხმელთაშუა ზღვიდან შემოუფრენს საბერძნეთს და ადრიატიკის ზღვიდან ძალზე მცირე ხანს იფრენს ნატოს წევრის – ჩერნოგორიის საჰაერო სივრცეში, პოდგორიცასთან მოლაპარაკება შეიძლება, ბოლოს კი სერბეთში და იქიდან – მის მოსაზღვრე უნგრეთში (ხანგრძლივია, მაგრამ ყველაზე საიმედო). ამასთან, სიტუაციის ცვლილების კვალობაზე შესაძლოა კრემლისათვის „ა“ და „ბ“ მარშრუტებიც მისაღები გახდეს.

კანონების შერბილება

ზოგადად, რუსეთის თვითმფრინავებს ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების საჰაერო სივრცესთან მიახლოება და მათ ტერიტორიაზე გადაფრენა ეკრძალებათ, მაგრამ 18 სექტემბერს უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა უკვე განაცხადა, რომ სამიტი ნებისმიერ შემთხვევაში გაიმართება.

ჩერნოგორიას შეუძლია უკმაყოფილება გამოხატოს, მაგრამ ევროპელმა დიპლომატებმა „დეილი ტელეგრაფს“ განუცხადეს, რომ არ დაბლოკავენ ისეთ შეხვედრას, რომელსაც მშვიდობის მოტანა ძალუძს.

ევროკომისიის პრესმდივნის განცხადებით, არც ვლადიმერ პუტინზე და არც მის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვზე** არანაირი აკრძალვები არ გავრცელდება. **„ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ რუსული თვითმფრინავების ფრენის და აეროპორტებში ყოფნის აკრძალვების მოქმედება დროებით შეაჩერონ. გადაწყვეტილებას თვითონ ქვეყნების მთავრობები იღებენ“**, – განმარტა მან.

როგორც უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **პეტერ სიიარტო** ამბობს, უნგრეთი როგორც ნატოსა და ევროკავშირის წევრი, უზრუნველყოფს ვლადიმერ პუტინის უსაფრთხო ფრენას, მის მიღებას, შეხვედრის გამართვას და უკან, სამშობლოში მშვიდობიანად დაბრუნებას. **„ვინმესთან არანაირი კონსულტაციების საჭიროება არ არსებობს. უნგრეთი სუვერენული ქვეყანაა. ვლადიმერ პუტინს პატივისცემით მივიღებთ და აშშ-ის პრეზიდენტთან მისი მოლაპარაკების ყველა პირობას ვუზრუნველყოფთ“**, – თქვა მინისტრმა.

ემილი ფორესი, ლონდონის თავდაცვითი კვლევების სამეფო ინსტიტუტის ანალიტიკოსი, ამბობს: **„ვლადიმერ პუტინისთვის მთავარი საფრთხე იმით გამოიხატება, რომ ვაითუ თვითმფრინავის ბორტზე რაიმე საგანგებო სიტუაცია შეიქმნას და მას რომელიმე ქვეყანაში იძულებითი დაშვება მოუწიოს. აამოქმედებს თუ არა ის ქვეყანა დაპატიმრების ორდერს? ვფიქრობ, ეს ნაკლებადსავარაუდოა. თქვენ შეიძლება გძულთ პუტინი და მისი ომი, მაგრამ თუ აშშ ცდილობს იგი მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას, შეხვედრის ბლოკირება გაუმართლებელი იქნება“.**

„უნგრეთმა სასამართლოს რომის სტატუტიდან გასვლა აპრილში გამოაცხადა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების იურიდიულ ძალაში შესვლისათვის კიდევ 6 თვეა საჭირო, ანუ ფორმალურად ქვეყნის პროკურატურა ვალდებულია, პუტინი დააპატიმროს“, – განაცხადა ICC-ის წარმომადგენელმა, თუმცა ასეთი პერსპექტივა პრობლემატურია: უნგრეთმა რამდენიმე თვის წინათ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ მიიღო, რომელზეც ასევე გაცემული დაპატიმრების ორდერი და არანაირი ინციდენტი არ მომხდარა.

ვიქტორ ორბანი დონალდ ტრამპის დიდი ხნის მოკავშირეა. უნგრეთის პრემიერს ასევე მჯიდრო კავშირები აქვს მოსკოვთანაც. მისი თქმით, აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა შეიძლება ორ კვირაში ჩატარდეს, თუ ორივე მხარის საგარეო საქმეთა მინისტრები მარკო რუბიო და სერგეი ლავროვი ვიზიტთან დაკავშირებულ საკითხებს დროულად მოაგვარებენ.

მოამგაზდა
სიმონ კილაძემ

პური გაძვირდა მხოლოდ ერთ სახეობაზე, ისიც – 10 თეთრით!

მთავარ სოციალურ პროდუქტზე ფასის ზრდამ უკვე ტენდენციური ხასიათი მიიღო!

15 ოქტომბრიდან პური 5-10 თეთრით გაძვირდა, რომელიც ძირითადად კომპანია „იფქლის“ წარმოებულ პურს შეეხო. როგორც მაღაზიებში ამბობენ, მიზეზი ფქვილზე ფასის მატებაა, თუმცა ეს სიმართლე არ არის. ფქვილის ფასი, დაახლოებით, ორი თვეა, არ შეცვლილა. მეპურეები ხელს სავაჭრო ობიექტებისკენ იშვერენ.

ერთ კონკრეტულ მაღაზიათა ქსელში პურის ერთ-ერთი ასორტიმენტის ფასი 10 თეთრით გაიზარდა. კერძოდ, 530-გრამიანი პროდუქტი 1.20 ლარის ნაცვლად, 1.30 ლარი გახდა, ხოლო 410-გრამიანი – 1 ლარიდან 1.10 ლარამდე გაძვირდა.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარის **მალხაზ დოლიძის** თქმით, ეს იყო ერთ-ერთი საცხობის ყველაზე დაბალფასიანი კონკრეტული ასორტიმენტი, რომელიც მხოლოდ ერთ ქსელურ მაღაზიაში შედის. თუმცა, არაქსელურმა მარკეტებმა თვითნებურად მოუმატეს პურს ფასი.

„პური არ გაძვირებულა. ერთმა საცხობმა ერთ ასორტიმენტზე შეცვალა ფასი. გაძვირება არის, როცა მასიურად ძვირდება. ძალიან გთხოვთ, ზუსტად განმარტოთ, ხოლმე – ერთ ასორტიმენტზე შეიცვალა. უნდა იკითხოთ, ხოლმე ქსელურებში, თორემ არაქსელურმა მაღაზიებმა რომ გაიგეს ერთი ასორტიმენტის პურის ფასი გაიზარდაო, აიღეს და ყველას თვითნებურად მოამატეს ფასი“, – განაცხადა **მალხაზ დოლიძემ** „ბიზნესპრესნიუსთან“.

კითხვაზე, თუ ამის მიზეზი ფქვილის გაძვირებაა, უნდა ველოდოთ თუ არა სხვა ასორტიმენტის გაძვირებასაც, **მალხაზ დოლიძე** ამბობს, რომ არა.

„არ არის მოსალოდნელი და არც ვცვლით. მხოლოდ ერთ ასორტიმენტზე შეიცვალა, ისიც, 10 თეთრიდან რომელიც მოუმატეს, 7 თეთრი რჩება საცხობს, 3 თეთრი – მაღაზიას. იქ, სადაც ფასი არ მომატებულა, სხვა კომპონენტები შედიოდა, მას შესაფუთი მასალა, დაჭრა სჭირდება. და იქ ისედაც გაზრდილი იყო ფასი და შესაბამისად, ეს გათვალისწინებულია. ეს კი არის ყველაზე დაბალფასიანი ასორტიმენტი და აქ არ იყო გათვალისწინებული“. გაძვირების მთავარი მიზეზი დასაქმებულების ხელფასების ზრდა იყო და ამ პირობებში ფასის შენარჩუნება საწარმოებისთვის წარმოუდგენელი იყო.

დღეს 1 ტომარა ფქვილის ფასი 58 ლარიდან 60 ლარამდე მერყეობს. ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ეს ფასი უკვე თვენახევარი-ორი თვეა, სტაბილურია.

ლევან სილაგავა განმარტავს, რომ 1 ტომარა ფქვილის 52-ლარიანი ზღვარი, რომლის ფარგლებშიც, პურის მწარმოებლები ფასების შენარჩუნებას ახერხებდნენ, დიდი ხანია შეცვლილია. ახალი ზღვრული ფასი კი 63 ლარია, რომლის შემდეგაც პურის ფასების კორექტირებაზე ისევ დაიწყება საუბარი.

„როდესაც დღეს გახსენება ხდება 52-ლარიანი ბიჯის, ეს ბიჯი იყო, დაახლოებით, წელიწად-ნახევრის წინ და იმის შემდეგ, ფაქტობრივად, მოხდა ის, რომ პურის ფასმა მოიმატა 10 თეთრით, რომელშიც უკვე გათვალისწინებულია ფქვილის გაძვირებული ფასი. შემდეგი ბიჯი გაძვირების, რაზეც იყო ლაპარაკი სამინისტროში, დაახლოებით, 62-63 ლარის ფარგლებში იყო. ფქვილის ფასი უკვე, დაახლოებით, თვენახევარია მერყეობს 58 ლარიდან 60 ლარამდე ფარგლებში, ანუ ფქვილის მიწოდების ფასი არ შეცვლილა. შესაბამისად, რატომ ხდება გაძვირება ახლა, ჩვენთვის გაუგებარია და რეალურად საჭიროა კონსულტაციები სამინისტროს შუამდგომლობით შედგეს, რომ რეალური სურათი სწორად დავინახოთ.

ჩვენ ინიციატივა გვქონდა და ვწუხვართ, რომ არ აიტაცეს ეს ინიციატივა, პურის ფასის ინდექსის შემოღების შესახებ იმიტომ, რომ პურის ფასი აქტუალურია ყოველთვის, როდესაც გარკვეული ცვლილებები ხდება. აქ ჩვენ შეგვიძლია, სწორად დავინახოთ ყველაფერი. თუ პერიოდულად, მაგალითად, თვის განმავლობაში, გამოქვეყნებული იქნება, როგორც იცვლება თვითონ პურის ფასის ინგრედიენტებიას და იმ ოპერაციების ფასი, რომელიც მონაწილეობს პურის ფასში. შესაბამისად, აქ შედარებების გაკეთება მოგვცემდა უფრო ნათელ სურათს იმასთან დაკავშირებით, თუ სად ვართ დღეს და რატომ ხდება ეს ყველაფერი“, – განუცხადა „ბიზნეს მედიას“ **ლევან სილაგავამ.**

წელს საქართველოში ხორბლის იმპორტი გაიზარდა, ხოლო ფქვილის – შემცირდა. ჯამურად, ქვეყანამ 75 მლნ დოლარამდე ღირებულების ხორბალი და ფქვილი იყიდა.

ფქვილის იმპორტი წელს, ღირებულებით გამოსახულებაში – 45%-ით, მოცულობაში კი – 60%-ით შემცირდა. რვა თვეში, 6.8 მლნ დოლარის 19 630.6 ტონა პროდუქტი შემოვიდა ქვეყანაში. მთავარი მომწოდებელი ამ შემთხვევაშიც რუსეთია. იმპორტმა 5.3 მლნ დოლარი და 17 350 ტონა შეადგინა.

ბექა დანელია

„სიბნელის“ რეფორმის შედეგები

(მეხუთე ბეჭდვიდან)

ქალბატონი ჩიტაშვილი გახლავთ ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. ვიკიპედიის მიხედვით, ის მუშაობდა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; სხვადასხვა დროს, როგორც მეცნიერ-მკვლევარი, მიწვეული იყო ლუნდის (შვეცია), უელსის (დიდი ბრიტანეთი), მიუნხენის (გერმანია) და სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტებში. არის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მარინე ჩიტაშვილი 1958 წელსაა დაბადებული, მას უსწავლია ჩვენს ქვეყანაში ცოდნის ტაძრად აღიარებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ძველ, თავდადებულ, მოწოდებით პედაგოგ-მასწავლებლებთთან.

იმათგან კი ისწავლა, მაგრამ მიუნხენში, უელსში და სტენფორდში რომ უთხრეს, ის უფრო დააჩნდა მის სულს, ვიდრე საბჭოთა კავშირისდროინდელი, მსოფლიოში აღიარებული ქართული ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური სკოლის გაკვეთილები.

ჩიტაშვილისნაირად, დღევანდელი პროფესორების დიდი ნაწილი, მათ შორის ჭიპგადმოგდებული, სვირინგებიანი ილიაუნის ლექტორების მსგავსი, დასავლური მოდელების ბრმად მიმდევარი პედაგოგებისთვის, სწავლა, სასწავლო პროცესი, ამ პროცესების მარგი ქმედების კოეფიციენტი და რაც შეიძლება ბევრი ცოდნით გაჟღენთილი ახალგაზრდა კი არაა მთავარი, არამედ მოვლენა, რომელიც არეულობას, სისხლს, გადატრიალებას იწვევს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როცა ის ტრაგედიად იქცევა.

აი, ეს ვითომ პედაგოგები, ვითომ პროფესორები, ნაცების და ჩვენი ქვეყნის სხვა მტრების მიერ დაგეშილი, სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაგუდებული ე.წ. აგენტურა ქმნის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელებში გონებრივ ქაოსს და ჩვენი ახალგაზრდების დეზორიენტაციას, ანუ ჩვენი სახელმწიფოს ფესვების მოწამვლას.

წინა რეჟიმმა, რომელსაც ეს მოდასაყოლილი პედაგოგები მისტირიან, მმართველობის დაწყებისთანავე, განათლების სისტემაში შემოიღო უცხო ქვეყნების სასწავლო მოდელები – საგანმანათლებლო რეფორმები ხშირად ფინანსური გრანტების შესაბამისად იგეგმებოდა, ბოლონიის მეთოდი (ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას უმაღლესი განათლებისათვის. – ავტ.), გამოცდების სტანდარტიზაცია და ა. შ. მკვიდრდებოდა ისე, რომ საზოგადოებრივ წრეებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამაზე დისკუსიაც კი არ გამართულა.

როგორც ყველაფერში, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, აქაც ცდილობდა, დაემტკიცებინა, ქართველები ევროპელები ვართ და „შინ“ მივდივართო, მაგრამ ევროპის გზაზე უაზროდ მორბენალებმა საკუთარი თავი დაკარგეს და ამას ზედ მიაყოლეს ათეული წლების განმავლობაში ნაშენები, ე.წ. „რუსული“, სინამდვილეში კი, მყარი და შინაარსიანად ეფექტური განათლების სისტემა.

არადა, საქართველოს გადარჩენა ეკონომიკასა და განათლებაშია და სწორედ ამ პრობლემებზე – განათლების რეფორმის კონცეფციაზე – დაიწყო ახლახან კომპლექსური მუშაობა ქვეყნის ხელმძღვანელობამ.

* * *

ერთი კვირის წინ სოციალურ ქსელში ჩვენმა თანამემამულემ, ქართველმა ებრაელმა ანა შიმშილაშვილმა ისრაელის განათლების სისტემის შესახებ ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა:

ისრაელში „საშუალო სკოლა არის 9-კლასიანი, საზოგადოებრივი გაზისური სკოლა... 9 კლასის შემდეგ არის გამოცდები, ხდება მოსწავლის უნარების და მიდრეკილებების გადახარისხება და მოსწავლე გადადის მისი შესაძლებლობების მიხედვით შესაბამის ჰაი სკულში, ანუ სკოლის უმაღლეს საფეხურზე.

ისრაელის სკოლებში 10-12 კლასი... ძირითადად კონცენტრირებულია გადამეტებულ ცოდნაზე, სპეციალიზაციაზე და სიმწიფის გამოცდებისთვის მზადებაზე.

სასწავლო სტრუქტურის სავალდებულო საგნებია: ენა და ლიტერატურა, ტექსტების კითხვა და ანალიზი, წერითი უნარები, გრამატიკა. ინგლისური ენა – კითხვა, გაგება, ანალიზი წაკითხულის, გრამატიკა, წერითი და საუბარი. მათემატიკა, მეცნიერება – ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა ან კომპიუტერული მეცნიერება. გეოგრაფია – ქვეყნის, საზოგადოების და მსოფლიოს ცოდნა და არჩევითი საგნები – თითოეული მოსწავლე ირჩევს 3–5 საგანს ინტერესების მიხედვით. ფიზიკური განათლება, ანუ სპორტი – სავალდებულოა! დამატებითი აქტივობები: პროექტები, სოციუმის დახმარება, ტექნოლოგიური და ხელოვნების პროგრამები. თუ ეს დამატებითი პროგრამა არ გაქვს გავლილი, ვერ მიიღებ ატესტატს!...

ყველა მოსწავლეზე მიდის დაკვირვება ჯერ კიდევ პირველი კლასიდან, მათ უნარებზე და შესაძლებლობებზე, რომ განუვითარონ უნარები. მთელი 12 წლის განმავლობაში ბავშვებზე ხდება დაკვირვება განათლების სამინისტროდან, ჯარიდან, მათ იციან ყოველი ბავშვის უნარი და იციან, სამომავლოდ როგორ დაეხმარონ ბავშვს განვითარებაში, ვინაიდან განვითარებული ბავშვი არის განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო.

ასე რომ, ბევრს აღარ გავაგრძელებ და თუ მშობლები და პედაგოგები აცხადებენ, რომ მე-12 კლასში ბავშვები სკოლაში არ დადიან, ეგ არაა ბავშვის პრობლემა, ძაღლის თავი სასკოლო პროგრამაშია დამარხული. სკოლა კი არაა შესამცირებელი, ანუ წლები, არამედ პროგრამაა შესაცვლელი“.

ეს სტატუსი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ებრაული სახელმწიფო, მისი განათლების სისტემა და ისრაელელი პედაგოგები იმაზე არიან ორიენტირებული, როგორ აღზარდონ ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი მომავალი თაობები. მარინა ჩიტაშვილი კი, ჩვენს ქვეყანას შემოსეულ, ქართველ ლიბერალ პედაგოგთა კრებითი სახე, საჯაროდ აცხადებს, რომ ჩვენი მომავალი თაობა, სასწავლო პროცესს მოწყვეტილი, ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით მოქმედ ჯგუფებთან ერთად, სისხლზე, სიკვდილზე და თვითლიკვიდაციაზე უნდა წავიდეს... იმედი მაქვს, რომ ამ ახალი ნაბიჯების კვალდაკვალ, სახელმწიფო განსაკუთრებით იმაზე იქნება ორიენტირებული, რომ სასწავლო წლების შემცირებასთან ერთად, სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგ-მასწავლებელთა კომპეტენციას, ე.წ. ბეგრაუნდსაც გადაათვალიერებს და მეტ ყურადღებას მიაქცევს სასწავლო პროგრამებს.

ერთ დღეს თუ ყველა შევთანხმდებით, რომ განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ქულებს, არამედ ნიშნავს აზროვნებას, თავისუფლებას და ადამიანურ ღირსებას, მაშინ, შესაძლოა, ჯერ კიდევ გვქონდეს შანსი, ამოვიდეთ მტრების მიერ სპეციალურად ჩაგდებული გაუნათლებლობის ჯურღმულიდან, სადაც, ვიღაცების ნაქეზებით, თავადვე ჩავძვერით, ვითომდა ევროპიელობისკენ სწრაფვით.

განათლება ჩვენი, ქართველების გადარჩენისა და წინსვლა-აღორძინების ერთადერთი იარაღია და თუ ამ იარაღს საბოლოოდ დავუანგავთ და წყალს და მეწყერს გავატანთ, ამით საერთოდ დავკარგავთ ყველაფერს.

ირანდა კალანდაძე

ჯინჭარაძის კოლექცია

პარაძალოსნოზაში 2025 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აპაპი ჯინჭარაძემ ევროპის რეკორდი დაამყარა და მაღალი სინჯის მედლები მოიპოვა.

ჩვენმა გოლიათმა ინდივიდუალურ ასპარეზობაში +107კგ წონაში 250 კგ დაძლია და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, სამი მისვლის ჯამში კი 737კგ. ჩათვალა და ვერცხლის მედალი აიღო.

13 ქულა და მესამე მოგება

ესპანეთის ლიგა ენდესას მესამე ტურში გიორგი შერმადინის „ტენერიფემ“ „მურსიას“ უმასპინძლა, რომელიც 96:80 დაამარცხა.

გიორგი შერმადინმა 22 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 5 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, რის შედეგადაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა.

„ტენერიფე“ 3 მოგებით ლიგა ენდესაში ლიდერია, მომდევნო ტურში კი 25 ოქტომბერს „უნიკახას“ უმასპინძლებს.



„შავი ლომის“ თეთრი რევანში

„შავმა ლომმა“ Toyota Chellenge-ს პირველ მატჩში სამხრეთაფრიკული „ჩიტასი“ 39:38 დაამარცხა და ზაფხულში ბორჯღალოსანთა დამარცხებისთვის რევანში აიღო.

ბლუმფონტეინში, „ტოიოტა სთედიუმზე“ გამართული შეხვედრა სანახაობრივი და დაძაბული გამოდგა. გუნდთან, რომელმაც ახლახანს დასრულებულ ქარი ქაფზე მესამე ადგილი დაიკავა, „შავი ლომი“ დროის უმეტესი წილი დომინირებდა. ჩვენი გუნდი სამხრეთაფრიკელ მეტოქეს აღემატებოდა ფიზიკურობაში და კონტაქტის არეში, მაღალ ტემპში, უნარიანად უტევდა ხელდახელ და დამსახურებული გამარჯვება ჩაიწერა.

თუმცა იყო შეცდომებიც, რის გამოც „ჩიტასმა“ პირველ ტაიმში სამი მარტივი ლელო გაიტანა, ბოლო წუთსა და გაწითლებულ დროზე კი ჩვენი მოდუნებით ისარგებლა და ორ წუთში ორი ლელო მიითვალა, მაგრამ რაგბის ღმერთმა არ გაგვწირა და აცილებული გარდასახვების შემდეგ „შავმა ლომმა“ დამსახურებული გამარჯვება იზეიმა.

თამაში ქართველთა შეტევებით დაიწყო, „ჩიტასი“ ზედიზედ რამდენჯერმე დაჯარიმდა და **ლუკა ცირეკიძემ** ახლოდან ანგარიში გახსნა. სტუმრები ინიციატივას ფლობდნენ, თუმცა მე-13 წუთზე დაშვებულ შეცდომას სწრაფი კონტრშეტევა მოყვა და თავგანწირული ბოჭვების მიუხედავად ლელო მივიღეთ, რასაც რთული პოზიციიდან ზუსტი გარდასახვა მოყვა. შეხვედრა რომ განახლდა სწრაფად დავბრუნდით მეტოქის ნახევარზე, მოლით 5-მეტრიან წყვეტილს ვუწიეთ, რასაც ფორვარდების რამდენიმე დარტყმა და **სანდრო მამამთავრიშვილის** ძალისმიერი ლელო მოყვა. ხელსაყრელი პოზიციიდან გარდასახვა მიზანს მცირედით ასცდა.

დომინაციის მიუხედავად 28-ე წუთზე მეორე ლელო მივიღეთ. მოედნის ცენტრში ზედიზედ ორჯერ დავჯარიმდით, „ჩიტასი“ მეორედ გადმოვიდა ჩვენს ნახევარზე, დერეფნიდან ბურთი ხაზზე გავიდა და ფეხით მოკლეზე გადაკიდებას მარტივი ლელო მოყვა. „შავმა ლომმა“ მალე უპასუხა. 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებულ მოლს მორკინალთა დარტყმები და **ირაკლი ქვათაძის** ლელო მოყვა, ცირეკიძემ კი გარდასახვით უპირატესობა დაგვიბრუნა.

ტაიმის ბოლოს მეტოქის ძალისმიერი შეტევა მოვიგერიეთ, მაგრამ უკვე გაწითლებულ დროზე ცენტრში ზედიზედ ორჯერ დავჯარიმდით და **კახა დარბაიძე** ყვითელი ბარათით დაისაჯა. „ჩიტასმა“ კიდევ ერთი შანსი მიიღო, დერეფნის შემდეგ ბურთი საპირისპირო ფრთაზე ჩათამაშდა, სადაც ხაზი მარტივად გაიჭრა და მასპინძლებმა ტაიმი 21:15 მოიგეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ჩიტასმა“ რიცხობრივი უპირატესობა კიდევ ერთხელ გამოიყენა და მეოთხე ლელო ძელებსშუა გაიტანა, მაგრამ ამან „შავი ლომი“ არ გატეხა და ჯერ კიდევ კაცნაკლულმა ლელოთი უპასუხა: სანდრო მამამთავრიშვილმა მეტოქეს ბურთი გამოგლიჯა, **თენგიზ პერანიძემ მიხეილ ბაბუნაშვილს** დაარტყმევინა, რომელმაც პირველი მბოჯავი კონტაქტით ჩამოიცილა და მაგრად იარა, 5-მეტრიანთან საქმეში **გიორგი სინაურიძე** ჩაერთო და სამი მეტოქით გარშემორტყმულმა ძელებსშუა ძალისმიერი ლელო შეიტანა. ცირეკიძემ გარდასახა.

54-ე წუთზე „შავმა ლომმა“ ულამაზესი ლელო გაიტანა. ცირეკიძემ ცენტრში ჩაჭრა გადაცემა, სწრაფი კონტრშეტევა ოფლოუდებით და სწრაფი გადაცემებით გაგრძელდა და **აკაკი ტაბუცაძის** ლელოთი დასრულდა. ამ შეტევაში თითქმის მთელმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და ყველა მორაგბემ იდეალურად ითამაშა. გარდასახვა არაზუსტი იყო. 61-ე წუთზე ჩვენმა გუნდმა ლიდერობა დაიბრუნა. მასპინძლებმა მოლი რომ შეგვიჩერეს ბურთი **შალვა აფციაურმა** გამოიტანა და იქვე შეუტია, რაქის შემდეგ საქმეში მორკინალები ჩაერთვნენ და **დათო აბდუშელიშვილმა** თავისი პირველი ლელო გაიტანა. გარდასახვა კვლავ არაზუსტი იყო.

71-ე წუთზე უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. პერანიძის მოკლეზე გადაკიდებულ ბურთს **სანდრო თოდუა** დაეუფლა და 5-მეტრიანში შევიდა, რაქიდან კვლავ აბდუშელიშვილმა შეუტია და თავისი მეორე ლელო გაიტანა, **ოთარ მეტრეველმა** კი გარდასახვით ჩვენი უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა. ბოლო წუთზე „ჩიტასმა“ შემოგვიტია და **გიორგი ნიკოლაძის** სინბინის შემდეგ მეტოქემ მოლი ლელოთი დააგვირგვინა. გაცუდებული გარდასახვის შემდეგ სათამაშო დრო ამოწურული იყო, თუმცა მსაჯმა თამაშის გაგრძელება ბრძანა, ჯარიმის შემდეგ სამხრეთაფრიკელები ჩვენს 22-ში კიდევ ერთხელ შემოვიდნენ და მართალია მოლი შევუჩერეთ, თუმცა მოკლე ფრთაზე ზედ ალამთან ლელო მაინც მივიღეთ. მასპინძლებმა გარდასახვა ვერც ამჯერად გაიტანეს და „შავმა ლომმა“ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა – 39:38.

„შავი ლომი“ იმავე „ჩიტასს“ 26 ოქტომბერსაც შეერკინება და ამჯერად შეხვედრა 17 საათზე დაიწყება.

Toyota Chellenge. 17 ოქტომბერი
სამხრეთ აფრიკა. ბლუმფონტეინი.
„ტოიოტა სთედიუმი“
„ჩიტასი“ (სამხრეთ აფრიკა) – „შავი ლომი“ (საქართველო) 38:39 (21:15)

შავი ლომი

ხაზი: 15. ოთარ მეტრეველი, 14. აკაკი ტაბუცაძე, 13.ზაურ ლუტიძე, 12. თორნიკე კახოიძე, 11. შალვა აფციაური, 10. ლუკა ცირეკიძე, 9. თენგიზ პერანიძე;

შერკინება: 1. დავით აბდუშელიშვილი, 2. ირაკლი ქვათაძე, 3. კახაბერ დარბაიძე, 4. მიხეილ ბაბუნაშვილი (კაპ.), 5. დემურ ეფრემიძე, 6. სანდრო მამამთავრიშვილი, 7. გიორგი ცუცქირიძე, 8. გიორგი სინაურიძე;

მარქაფა: 16. თამაზ ჭამიაშვილი, 17. ნიკოლოზ ხატიაშვილი, 18. ბადრი ციხისთავი, 19. გიორგი ნიკოლაძე, 20. ლაშა ციხისთავი; 21. გიორგი სპანდერაშვილი, 22. ალექსანდრე თოდუა, 23. ლუკა თაყაიშვილი.

6 ლელო: მამამთავრიშვილი, ქვათაძე, სინაურიძე, ტაბუცაძე, აბდუშელიშვილი (2);

3 გარდასახვა: ცირეკიძე (2), მეტრეველი;

1 ჯარიმა: ცირეკიძე.

რაზომაც არა?!

UFC-ის მსუბუქი დივიზიონის ქართველმა ჩემპიონმა ილია თოფურიამ ისლამ მახაჩევთან შესაძლო ბრძოლაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა. მისი თქმით, ისლამთან ჩხუბი თეთრი სახლის ღონისძიებაზე სურს: **„იმ შემთხვევაში, თუ ისლამ მახაჩევი ჯეკ დელა მადალენას დაამარცხებს, მასთან ჩხუბი თეთრი სახლის ღონისძიებაზე მსურს. ეს UFC-ის ისტორიაში საუკეთესო ჯახი იქნება, რადგან მესამე ქამრისთვის ჯერ არავის უბრძოლია.“** – განაცხადა **ილიამ.**

ილია თოფურიამ ბოლოს ივნისში იყოჩაღა, როცა ჩარლზ ოლივეირა პირველსავე რაუნდში გათიშა და მსუბუქი დივიზიონის ქამარს დაეუფლა. რაც შეეხება ისლამ მახაჩევს, მან ზედა წონაში გადაინაცვლა და UFC322-ზე საჩემპიონო ბრძოლას ჯეკ დელა მადალენას წინააღმდეგ გამართავს.

პრემიერლიგა — ქერის ორმო

ფეხბურთელთა სატრანსფერო ღირებულების შეფასებაზე სპეციალიზირებულმა პორტალმა Transfermarkt-მა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისა და სეზონის დაწყების შემდეგ განაახლა ინგლისის პრემიერლიგის მოთამაშეთა ფასები. ამრიგად, პრემიერლიგის კლუბების ღირებულება ჯამში 756.25 მილიონი ევროთი გაიზარდა. ლიგაში ყველა მოთამაშის ღირებულება ამჟამად 12.78 მილიარდ ევროს შეადგენს.

ინგლისის ჩემპიონატი სასტარტო შემადგენლობაში პირველ ადგილზეა მსოფლიოში, რაც ორჯერ აღემატება ესპანეთის ლა ლიგის (5.57 მილიარდი ევრო) და იტალიის სერია A-ს (5.44 მილიარდი ევრო) ღირებულებას, რომლებიც რეიტინგში მეორე და მესამე ადგილებს იკავებენ.

„არსენალი კვლავ ინგლისის ყველაზე ძვირადღირებულ გუნდად რჩება (1.31 მილიარდი ევრო), მეორე ადგილზე კი „მანჩესტერ სიტია“ (1.21 მილიარდი ევრო).



დონალდ ტრამპი:

ზელენსკი და პუტინი უნდა გაჩერდნენ იქ, სადაც არიან, დაე, ორივე მხარემ გამოაცხადოს გამარჯვება!

ამერიკის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** აღნიშნავს, რომ უკრაინის პრეზიდენტთან **ვოლოდიმირ ზელენსკისთან** შეხვედრა იყო „ძალიან საინტერესო და მეგობრული“.

„მე მას ვუთხარი, როგორც ასევე მკაცრად ვურჩიე პრეზიდენტ პუტინს, რომ დროა, შეწყდეს მკვლელობები და დაიდოს შეთანხმება“, – წერს **დონალდ ტრამპი** სოციალურ ქსელში ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ.

დონალდ ტრამპის თქმით, მხარეებმა ომი დაუყოვნებლივ უნდა დაასრულონ. **„საზღვრები განისაზღვრა ომით და გამზედაობით. ისინი უნდა გაჩერდნენ იქ, სადაც არიან. დაე, ორივე მხარემ გამოაცხადოს გამარჯვება, ისტორიამ განსაჯოს. საკმარისია სროლა, საკმარისია მკვლელობები, საკმარისია უზარმაზარი თანხების ხარჯვა. ეს ომი არასდროს დაიწყებოდა, მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი“,** – აღნიშნავს **ტრამპი.**

სანთელი



შვილები გვანცა, გიორგი, დები მზია, მანანა ქაჯაიები, შვილიშვილები თემო, მათე ქაჯაიები, ნიკა, საბა, ნინი ბარამიძეები, რძალი თამუნა გიორგაძე, სიძეები ჯაბა ბარამიძე, ვოვა იოსელიანი, სპარტაკ ქობულია, ცოლისძმა სერგო, ცოლისდა ლუარა მაღლაფერიძეები ოჯახებით, დისწულები შორენა იოსელიანი, ლაშა, რუსუდან ქობულიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ (თეიმურაზ) გიორგის ძე ქაჯაია

პანაშვიდი ორშაბათს, 20 X-ს; გამოსვენება 21 ოქტომბერს, 14 სთ-ზე, თბილისი, ორთაჭალის ქ. N20.

სასამართლომ 4 ოქტომბრის საქმის კიდევ 10 მონაწილეს პატიმრობა შეუფარდა

სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილა და 4 ოქტომბრის ძალადობრივი მოვლენების კიდევ 10 მონაწილეს პატიმრობა შეუფარდა. გრალდებულებმა პროცესზე დუმილის უფლება გამოიყენეს. დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას ითხოვდა. მათ შორის რამაზ პორბენაძის ადვოკატმა, გრალდებულის პანმართველობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი – ფორმა 100 წარადგინა.

პროკურორმა კი პროცესზე გრალდებულების მხრიდან შესაძლო საფრთხეებზე ისაუბრა – მოწმეებზე ზემოქმედება, მტკიცებულებების განადგურება, მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

საქართველოს პროკურატურამ სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტის ჯგუფურად ხელში ჩაგდების მცდელობის, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის ფაქტებზე გრალდება კიდევ 16 პირს, მათ შორის ერთ პირს დაუსწრებლად წარუდგინა.

შსს-მ 4 ოქტომბერს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კიდევ 16 პირი დააკავა, ჯამში დაკავებულია 62 ადამიანი.

ყალბისმქმნელებმა აიშვეს!

პროკურატურამ კომერციული მოსყიდვის, კომერციულ მოსყიდვაში დახმარების, უფლებამოსილების გორტად გამოყენების და ყალბი დოკუმენტის დამზადებაგასაღების ფაქტებზე სამ პირს გრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ფოთში მდებარე ერთ-ერთი ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის ინსპექტორმა, შუამავლის დახმარებით, ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებაზე ტექნიკური ინსპექტირების დადებითად გავლის ყალბი ანგარიში გასცა, რის სანაცვლოდაც მოქალაქისაგან უკანონოდ მოითხოვა და აიღო თანხა. ასევე, ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მეორე ინსპექტორმა, სხვა პირის თხოვნით, ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებაზე ტექნიკური ინსპექტირების დადებითად გავლის ყალბი ანგარიში გასცა.

ერთ პირს გრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 ნაწილით (კომერციული მოსყიდვა) წარედგინა, მეორეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი დოკუმენტის დამზადება და გასაღება), ხოლო მესამეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,221-ე მუხლის მე-3 ნაწილით (კომერციულ მოსყიდვაში დახმარება) და 25,220-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წაქეზება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დააკავეს პირი, რომელმაც თბილისში ერთ ღამეში 12 მანქანა გაქურდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2006 წელს დაბადებული ჯ.ქ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, ჯ.ქ.-მ საბურთალოს რაიონში, ღამის საათებში 12 ავტომანქანის საქარე მინები დააზიანა და ავტომობილში არსებული ნივთები მოიპარა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჯ.ქ. დააკავეს. დაკავებულმა მის მიერ 8 ოქტომბერს აფრიკის დასახლებაში ჩადენილი ქურდობის კიდევ ერთი ფაქტი აღიარა. პოლიციამ ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობის ბრალდებით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 2004 წელს დაბადებული გ.უ. და 1993 წელს დაბადებული ვ.უ. დააკავეს.

„სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკისას, ასევე, სხვადასხვა ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის „ალფა პვპ“, „კოკაინი“ და გამომშრალი „მარიხუანა“. პოლიციის მიერ, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მძიმე ავარია კავთისხევის გზაზე! დაღუპულია სამი ადამიანი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევის გზაზე მომხდარ ავტოავარიას 3 ადამიანი ემსხვერპლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

სასაზღვრო პოლიციამ ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ახალციხის სამმართველოს დასავლეთ მონაკვეთზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2 პირი – 1983 წელს დაბადებული ჰ.ს. და 1969 წელს დაბადებული მ.ძ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ფაქტზე დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ცნობით დანაშაული ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

წითელი ცირკულარით ძებნილი გასკვანჩეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – 1964 წელს დაბადებული ე.გ. დააკავეს.

უწყების ცნობით, დაკავებული ე.გ. თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ, დანაშაულის ჩადენის მიზნით შეიარაღებული დაჯგუფების შექმნის და ხელმძღვანელობის, საჯარო დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ტენდერზე უკანონო ზემოქმედების განხორციელებისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ძარცვის ბრალდებით ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა.

„დაკავებულმა საქართველოს საზღვარი ჯერ კიდევ მაშინ გადმოკვეთა, ვიდრე მასზე ძებნა გამოცხადდებოდა. სამართალდამცველებმა ე.გ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბათუმში დააკავეს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობა საუკეთესოთა შორის საუკეთესოა...

ჟურნალ „სტილისა“ და „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარებულ ყოველწლიურ პრესტიჟულ კონკურსში წელს 167 ქართველი და უცხოელი არქიტექტორი, დიზაინერი და სტუდენტი მონაწილეობდა. საუკეთესო ნამუშევრები ჟიურიმ 11 ნომინაციაში გამოავლინა.

საქართველოს პირველი არხის ახალი შენობა „არქიტექტურული პრემია 2025“-ის გამარჯვებული გახდა – „თბილქალაქპროექტის“ მთავარ არქიტექტორს **ლევან სიამაშვილს** ჯილდო გადაეცა ნომინაციაში **„საუკეთესო საზოგადოებრივი ნაგებობა“**.

საერთაშორისო კონკურსი 2006 წელს დაარსდა და მას შემდეგ არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისთვის ტარდება.

„კონკურსზე წარმოდგენილი იყო 11 ნომინაცია, ერთ-ერთი იყო – საზოგადოებრივი რეალიზებული შენობა. ნომინაციაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე პროექტი, მათგან ერთ-ერთი საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის პროექტი, რომელმაც ჟიურის მოწონება დაიმსახურა და გახდა საუკეთესო ნომინანტი.

ვულოცავ არქიტექტორებს, ვულოცავ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას, დირექციას, ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტში მიიღო მონაწილეობა. ვფიქრობ, კარგი ინიციატივა იყო, მისასალმებელი და შედეგიც საკმაოდ კარგი გამოვიდა“, – განაცხადა კონკურს „არქიტექტურული პრემიის“ დამფუძნებელმა **დიმიტრი მოსულიშვილმა.**

მწერალთა სახლს „სიყვარული და მეგობრობა“ უსახსოვრა!

ცნობილმა მხატვარმა და მოქანდაკემ **გია ჯაფარიძემ** მწერალთა სახლს საჩუქრად გადასცა შთამგეჭდავი სკულპტურა – „სიყვარული და მეგობრობა“.

„კომპოზიცია შექმნილია უუანგავი ლითონისგან, სადაც მნახველი საკუთარ ანარეკლს ხედავს, რითაც ნამუშევარი ადამიანს შემოქმედების ნაწილად აქცევს.

სკულპტურა მწერალთა სახლის ტერასაზე განთავსდა და სივრცეს განსაკუთრებულ ელფერს სძენს. ის მინიმალიზმისა და პოსტმოდერნიზმის ერთგვარი ნაზავია, რომლის დინამიკაში შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოები სრულიად ორიგინალურად იკითხება.

მწერალთა სახლი მადლობას უხდის მოქანდაკე გია ჯაფარიძეს და რეპროდუქტოლოგ არსენ გვენეტაძეს ძვირფასი საჩუქრისთვის“! – წერია მწერალთა სახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გია ჯაფარიძე, ქეთი დუმბაძე, არსენ გვენეტაძე

ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“ იწყება!

4 ნოემბრიდან მწერალთა სახლში პროექტი – ირაკლი სამსონაძის „დრამატურგიის სახელოსნო“ იწყება.

მწერალთა სახლის ინფორმაციით, **ირაკლი სამსონაძეს** გამოცემული აქვს წიგნები (**„ყურთმალიში“, „ლეას საათი“, „ქელეხი ქარში“, „ქელეხი-ქორწილი“**) და არის არაერთი ლიტერატურული თუ თეატრალური ჯილდოს მფლობელი. მისი 15-მდე პიესა დადგმულია საქართველოს მოქმედ თეატრებში.

კურსი გაიმართება ყოველ სამშაბათს, 17:00 საათზე და ითვალისწინებს 12 ლექციას.

„როგორ ავაგოთ ამბავი? რა პროცესს გადის ის, სანამ დასრულებულ სახეს მიიღებს? რატომ არის ამბის თხრობა მნიშვნელოვანი და რა საფეხურები უნდა განვლოს იმისათვის, რათა აუდიტორიისთვის დასამახსოვრებელი და საინტერესო გახდეს? – ეს არის შეკითხვები, რომლებიც ამბის აგების ურთულეს პროცესში ხშირად დაისმის.

ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ფინალი – ეს ის საფეხურებია, რომლებიც ამბის გადმოცემისას მნიშვნელოვანია. სწორედ ამბის თხრობასა და აგების პროცესებზე ისაუბრებს დრამატურგი, მწერალი, ირაკლი სამსონაძე მწერალთა სახლის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში – „დრამატურგიის სახელოსნო“...

ძარცვა ლუვრის მუზეუმში

– ამის შესახებ ინფორმაციას საფრანგეთის კულტურის მინისტრი ადასტურებს. **რაშიდა დატი** სოციალურ ქსელში წერს, რომ ძარცვა მუზეუმის გახსნის დროს მოხდა.

„დღეს დილით ლუვრის გახსნის დროს ძარცვა მოხდა. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. მე ადგილზე მუზეუმის პერსონალთან და პოლიციასთან ერთად ვარ. მიმდინარეობს გამოძიება“, – წერს საფრანგეთის კულტურის მინისტრი.

ოფიციალური განცხადება გავრცელდა ლუვრის მუზეუმის სოციალური ქსელშიც, სადაც აღნიშნულია, რომ მუზეუმი დღეს დახურული იქნება. მედიის ინფორმაციით, რამდენიმე ნიღბიანმა პირმა ნაპოლეონის კოლექციიდან სამკაულები მოიპარა.

საბავშვო მიუზიკლის პრემიერა კინომსახიობთა თეატრში

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში მოთხრობის „კარიუსი და გაქტუსი“ მიხედვით საბავშვო მიუზიკლის პრემიერა გაიმართა.

მიზანი საბავშვო მუსიკის განვითარება და საქართველოში მიუზიკლის ჟანრის დანერგვაა. შემეცნებითი მიუზიკლი ბავშვებს, მუსიკის და თეატრის ენაზე პირადი ჰიგიენის მნიშვნელობაზე მოუთხრობს. **საპრემიერო ჩვენებები 19 ოქტომბრის ჩათვლით გრძელდებოდა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსელიდან და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგებეჭდილ, ან უცხოური
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

**ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
22 ოქტომბერს**